



საქონლისა და მომსახურების
საერთაშორისო კლასიფიკაცია
ნიშნების რეგისტრაციისათვის

(ნიშნის კლასიფიკაცია)
მეხსრე რედაქცია

ნაწილი I:
საქონლისა და მომსახურების
ანბანური ჩამონათვალი



WORLD
INTELLECTUAL PROPERTY
ORGANIZATION



საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქაბტნები

ნიცის კლასიფიკაციის წინამდებარე მეცხრე რედაქცია წარმოადგენს ისმო-ს მიერ ინგლისურ ენაზე ოფიციალურად გამოცემული კლასიფიკაციის ავთენტიკურ თარგმანს.

თარგმანი მომზადებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ.

მთარბმნელთა ჯგუფი: მ. ფანჩვიძე - ხელმძღვანელი
ლ. ახალკაცი
ქ. ბოჭორიშვილი
ი. მულალაშვილი
ე. რევიშვილი

რედაქტორი: მ. ტაბიძე

ყველა უფლება დაცულია. საავტორო უფლებების მფლობელთა ნებართვის გარეშე, დაუშვებელია მოცემული გამოქვეყნების რომელიმე ნაწილის გადაღება ნებისმიერი საშუალებით (ელექტრონული, მექანიკური, ფოტოკოპირება, ჩაწერა და სხვ.).

© ისმო, 2006 (ინგლისურ ენაზე)
© საქპატენტო, 2010 (ქართულ ენაზე)

ISBN 978-9941-0-2820-5 (ორივე ნაწილის)
ISBN 978-9941-0-2821-2 (პირველი ნაწილის)

შინაარსი

გვერდი

წინასიტყვაობა (v)
ნიციის შეთანხმების წვერი ქვეყნები (იანვარი, 2009) (vii)

ნიციის შეთანხმება
ნიშნების რეგისტრაციისათვის განათვნილი საქონლისა და მომსახურების
საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ (ix)

ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის
შეთანხმების ოქმი (ამონარიდი)..... (xx)

ნიციის კლასიფიკაცია:

სახელმძღვანელო მომხმარებლისათვის..... 1
ზოგადი შენიშვნები 3
კლასების დასათაურება 5

კლასების ჩამონათვალი განმარტებით:

საქონელი 9
მომსახურება 28

ანბნური ჩამონათვალი:

საქონელი 37
მომსახურება 293

* * *

წიწასიბჟვობა

ნიწის ჯლასიფიქაციის ისტორია და დანიშნულეა

ნიწების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო (ნიწის) კლასიფიკაცია მიღებულ იქნა 1957 წლის 15 ივნისს ნიწის დიპლომატიურ კონფერენციაზე დადებული ხელშეკრულების თანახმად, გადასინჯულ იქნა 1967 წელს სტოკჰოლმში, 1977 წელს ჟენევაში და მასში შეტანილ იქნა ცვლილებები 1979 წელს.

ნიწის შეთანხმების მხარე ქვეყნებმა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კავშირის ფარგლებში დააფუძნეს სპეციალური კავშირი. მათ მიიღეს და იყენებენ ნიწების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი ნიწის კლასიფიკაციისას.

ნიწის შეთანხმების თითოეული მხარე ქვეყანა ვალდებულია, ნიწების რეგისტრაციისას გამოიყენოს ნიწის კლასიფიკაცია ძირითად ან დამხმარე კლასიფიკაციად და ნიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტებსა და პუბლიკაციებში შეიტანოს კლასიფიკაციით განსაზღვრული იმ საქონლისა და მომსახურების შესაბამისი კლასების ნომრები, რომელთათვისაც ნიწები დარეგისტრირდა.

ნიწის კლასიფიკაციით სარგებლობა სავალდებულოა არა მხოლოდ ნიწის შეთანხმების მხარე ქვეყნებისათვის ნიწის ეროვნული რეგისტრაციისას, არამედ – ისმ(ო)-ს საერთაშორისო ბიუროს მეშვეობით ნიწების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებისა და ნიწების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან არსებული ოქმის თანახმად განხორციელებული საერთაშორისო რეგისტრაციისას და, აგრეთვე, ინტელექტუალური საკუთრების აფრიკის ორგანიზაციის (OAPI), ინტელექტუალური საკუთრების აფრიკის რეგიონალური ორგანიზაციის (ARIPO), ბენილუქსის სასაქონლო ნიწების უწყებისა და შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყების (სასაქონლო ნიწები და სამრეწველო ნიშნები) (OHIM) მეშვეობით განხორციელებული ნიწების რეგისტრაციისას.

ნიწის კლასიფიკაცია, აგრეთვე, გამოიყენება რიგი ქვეყნების მიერ, რომლებიც არ არიან ნიწის შეთანხმების მხარეები (იხ. ჩამონათვალი, გვ. viii).

ნიწის ჯლასიფიქაციის გაღასინჯვა

ნიწის კლასიფიკაცია ეფუძნება ისმ(ო)-ს წინამორბედის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაერთიანებული საერთაშორისო ბიუროს (BIRPI) მიერ 1935 წელს მომზადებულ კლასიფიკაციას. ეს იყო კლასიფიკაცია, რომელიც მოიცავდა 34 კლასის ჩამონათვალსა და საქონლის ანბანურ ჩამონათვალს, რომელიც მიღებული იქნა ნიწის შეთანხმების მიერ და რომელიც შემდგომში გაფართოვდა და მოიცვა, აგრეთვე, მომსახურების 11 კლასი და ამ მომსახურებათა ანბანური ჩამონათვალი.

ნიწის შეთანხმება უზრუნველყოფს ექსპერტთა კომიტეტის ფუნქციონირებას, რომელშიც ყველა მხარე ქვეყანაა წარმოდგენილი. ექსპერტთა კომიტეტი ღებულობს

გადაწყვეტილებას კლასიფიკაციის ყველა ცვლილებაზე, კერძოდ, კლასებს შორის საქონლისა და მომსახურების გადანაწილებაზე, ანბანური ჩამონათვლის განახლებასა და საჭირო განმარტებების შედგენაზე.

1961 წლის 8 აპრილიდან, როდესაც ძალაში შევიდა ნიცის შეთანხმება, დღემდე ექსპერტთა კომიტეტმა მოიწვია 20 სესია. სხვა მნიშვნელოვან შედეგებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: საქონლისა და მომსახურების ანბანური ჩამონათვლის საფუძვლიანი გადასინჯვა მისი ფორმის თვალსაზრისით (გვიანი 1970-იანი წლები); ზოგადი შენიშვნების, კლასების დასათაურებებისა და განმარტებების არსობრივი შესწორებები (1982 წ.); ანბანურ ჩამონათვალში ყოველი ცალკეული საქონლის ან მომსახურებისათვის „ძირითადი ნომრის“ მინიჭება (1990 წ.), რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, კლასიფიკაციის სხვაენოვან ვარიანტში მონახოს შესაბამისი საქონელი ან მომსახურება; 42-ე კლასის გადასინჯვის შედეგად ახალი 43-45 კლასების შექმნა (2000წ.).

2005 წლის ოქტომბერში მოწვეულ მე-20 სესიაზე ექსპერტთა კომიტეტმა ცვლილებები შეიტანა ნიცის კლასიფიკაციის მე-8 რედაქციაში.

ნიცის კლასიფიკაციის რედაქციები

ნიცის კლასიფიკაციის პირველი რედაქცია გამოქვეყნდა 1963 წელს, მეორე რედაქცია – 1971 წელს, მესამე – 1981 წელს, მეოთხე – 1983 წელს, მეხუთე – 1987 წელს, მეექვსე – 1992 წელს, მეშვიდე – 1996 წელს და მერვე – 2001 წელს. წინამდებარე რედაქცია (მეცხრე) გამოქვეყნდა 2006 წლის ივნისში და ძალაში შევიდა 2007 წლის პირველ იანვარს.

* * *

ნიცის კლასიფიკაციის ავთენტიკური ვერსიები (ინგლისური და ფრანგული) გამოქვეყნებულია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში ყველა საქონელი ანბანური მიმდევრობით ჩამოთვლილია ერთ სიაში და ყველა მომსახურება კი – მეორეში. მეორე ნაწილში მოცემულია ანბანური მიმდევრობით დალაგებული საქონლისა და მომსახურების სიები ყველა იმ კლასის მიხედვით, რომელთაც ისინი მიეკუთვნება. არსებობს, აგრეთვე, ანბანური ჩამონათვლის ორენოვანი ვერსია (ინგლისურ/ფრანგული).

ნიცის კლასიფიკაციის მეცხრე რედაქციის შეკვეთა შესაძლებელია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში (ოსმ^ო), 34, კოლომბეტის ვზატკე-ცილი, ს/ყ 18, CH-1211 ჟენევა 20 ან ოსმ^ო-ს ვებგვერდზე განთავსებულ ელექტრონულ წიგნების მაღაზიაში შემდეგ მისამართზე: <http://www.wipo.int/ebookshop>.

ჟენევა, ივნისი, 2006.

ნისის შეთანხმების ნაპროი ქვეყნები
(იანვარი, 2010)

ალბანეთი	მაროკო
ალჟირი	მექსიკა
ამერიკის შეერთებული შტატები	მონაკო
ავსტრალია	მონტენეგრო
ავსტრია	მონღოლეთი
აზერბაიჯანი	მოზამბიკი
არგენტინა	ნიდერლანდი
ბაჰრეინი	ნორვეგია
ბარბადოსი	პოლონეთი
ბელგია	პორტუგალია
ბელორუსი	რესპუბლიკა მოლდოვა
ბენინი	რუმინეთი
ბოსნია-ჰერცეგოვინა	რუსეთის ფედერაცია
ბულგარეთი	საბერძნეთი
გერმანია	საფრანგეთი
გვინეა	საქართველო
დანია	შეერთებული სამეფო
დომინიკა	სენტ-კიტსი და ნევისი
ევგვიპტე	სენტ-ლუსია
ესპანეთი	სერბია)
ესტონეთი	სინგაპური
თურქეთი	სირიის არაბთა რესპუბლიკა
თურქმენეთი	სლოვაკია
იამაიკა	სლოვენია
იაპონია	სომხეთი
იორდანია	სურინამი
ირლანდია	ტაჯიკეთი
ისლანდია	ტანზანიის შეერთებული რესპუბლიკა
ისრაელი	ტრინიდადი და ტობაგო
იტალია	ტუნისი
კორეის რესპუბლიკა	უკრაინა
კორეის სახალხო დემოკრატი. რესპუბლიკა	უნგრეთი
კუბა	ურუგვაი
ლატვია	უზბეკეთი
ლიბანი	ყაზახეთი
ლიტვა	ყირგიზეთი
ლიხტენშტაინი	ფინეთი
ლუქსემბურგი	შვედეთი
მაკედონია (ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა)	შვეიცარია
მალავი	ჩეხეთის რესპუბლიკა
მალაიზია	ჩინეთი
	ხორვატია

(სულ: 83 ქვეყანა)

**სსპა ქვეყნები და ორგანიზაციები,
რომლებიც სარგებლობენ ნიციის ქლასიფიკაციით**

(იანვარი, 2010)

წინა გვერდზე ჩამოთვლილ ნიციის შეთანხმების მხარე 83 ქვეყანასთან ერთად ნიციის კლასიფიკაციით, აგრეთვე, სარგებლობს ქვემოთ ჩამოთვლილი 65 ქვეყანა და 4 ორგანიზაცია:

ინტელექტუალური საკუთრების აფრიკის ორგანიზაცია (OAPI) ¹	ვიეტნამი ზამბია ზიმბაბვე	პერუ რუანდა სალვადორი
ინტელექტუალური საკუთრების აფრიკის რეგიონული ორგანიზაცია (ARIPO) ²	იემენი ინდოეთი ინდონეზია	სამოა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა
ანგოლა	ირანის ისლამური რესპუბლიკა	სან-მარინო
ანტილის კუნძულები (ნიდერლანდ)	კამბოჯა	სენტ-ვინსენტი და გრენადინები
არაბთა გაერთიანებული საამიროები	კატარი	საუდის არაბეთი
ახალი ზელანდია	კენია	სვაზილენდი
ბანგლადეში	კოლუმბია	სიერა-ლეონე
ბენელუქსის სასაქონლო ნიშნების უწყება (BBM)	კოსტა-რიკა	სოლომონის კუნძულები
ბოლივია	კუვეიტი	სუდანი
ბოტსვანა	კვიპროსი	ტაილანდი
ბრაზილია	ლესოტო	ტონგა
ბურუნდი	ლიბია	უგანდა
გაიანა	მადაგასკარი	ფილიპინები
განა	მალტა	შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყება (OHIM)
გვატემალა	მავრიკია	შრი-ლანკა
ეკვადორი	ნამიბია	ჩილე
ერაყი	ნეპალი	ჯიბუტი
ეთიოპია	ნიგერია	ჰაიტი
ვენესუელა	ნიკარაგუა	ჰონდურასი
	პაკისტანი	
	პანამა	
	პარაგვაი	

¹ ინტელექტუალური საკუთრების აფრიკის ორგანიზაციის (OAPI) წევრი ქვეყნებია (იანვარი, 2006წ.): ბენინი (ასევე, ნიციის შეთანხმების მხარე), ბურკინა-ფასო, გაბონი, გვინეა (ასევე, ნიციის შეთანხმების მხარე), გვინეა-ბისაუ, ეკვატორიული გვინეა, კამერუნი, კონგო, კოტ დ'ივუარი, მავრიტანია, მალი, ნიგერია, სენეგალი, ტოგო, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადი (16).

² ინტელექტუალური საკუთრების აფრიკის რეგიონული ორგანიზაციის (ARIPO) წევრი ქვეყნებია (იანვარი, 2006): ბოტსვანა, გამბია, განა, ზამბია, ზიმბაბვე, კენია, ლოსოტო, მალავი (ასევე, ნიციის შეთანხმების მხარე), მოზამბიკი (ასევე, ნიციის შეთანხმების მხარე), ნამიბია, სვაზილენდი, სიერა-ლეონე, სომალი, სუდანი, ტანზანია, უგანდა (16).

ნიციის შერთანხმება

**ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი
საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის
შესახებ**

1957 წლის 15 ივნისი

გადასინჯულია სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს, და ჟენევაში 1977 წლის 13 მაისს
და შესწორებულია ჟენევაში 1979 წლის 28 სექტემბერს

მუხლი 1

**სპეციალური კავშირის დაარსება; საერთაშორისო კლასიფიკაციის მიღება;
კლასიფიკაციის განსაზღვრება და ენები**

- (1) ქვეყნები, რომელთა მიმართაც გამოიყენება ეს შეთანხმება, ქმნიან სპეციალურ კავშირს და ღებულობენ ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ერთიან კლასიფიკაციას (შემდგომში კლასიფიკაცია).
- (2) კლასიფიკაცია შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:
 - (i) კლასების ჩამონათვალი განმარტებებით, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში თან ახლავს შენიშვნები;
 - (ii) საქონლისა და მომსახურების ანბანური ჩამონათვალი (შემდგომში ანბანური ჩამონათვალი) იმ კლასის მითითებით, რომელშიც ხვდება საქონლისა და მომსახურების თითოეული სახეობა.
- (3) კლასიფიკაცია შეიცავს:
 - (i) კლასიფიკაციას, რომელიც გამოქვეყნებულია 1971 წელს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელ კონვენციაში მოხსენიებული ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბიუროს (შემდგომში – „საერთაშორისო ბიურო“) მიერ; ამასთან, იგულისხმება, რომ ამ პუბლიკაციაში შეტანილი კლასების ჩამონათვლის თანმხლები განმარტებები ითვლება დროებითად და რეკომენდაციის ხასიათის მქონედ, ვიდრე კლასების ჩამონათვლის თანმხლებ განმარტებებს არ შეიმუშავებს მე-3 მუხლში მოხსენიებული ექსპერტთა კომიტეტი.
 - (ii) შესწორებებსა და დამატებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 1957 წლის 13 ივნისის ნიცის შეთანხმებისა და ამავე შეთანხმების 1967 წლის 14 ივლისის სტოკჰოლმის აქტის 4(1) მუხლის თანახმად, ამ აქტის ძალაში შესვლამდე.
 - (iii) ნებისმიერ ცვლილებას, რომელიც შეტანილ იქნა ამ აქტის მე-3 მუხლის თანახმად და შესულია ძალაში ამ აქტის 4(1) მუხლის მიხედვით.
- (4) კლასიფიკაცია შედგენილია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტი თანაბარაფონტიკურია.
- (5) (a) მე-3(i) პუნქტში მოხსენიებული კლასიფიკაცია 3(ii) პუნქტში მოხსენიებულ შესწორებებსა და დამატებებთან ერთად, რომლებიც ძალაში შევიდა ამ აქტზე ხელმოწერების დაწყების თარიღამდე, არსებობს ერთ ავთენტიკურ ეგზემპლარად ფრანგულ ენაზე და დეპონირებულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორთან (შემდგომში შესაბამისად – „ორგანიზაცია“ და „გენერალური დირექტორი“). 3(ii) პუნქტში მოხსენიებული

- შესწორებები და დამატებები, რომლებიც ძალაში შედის ამ აქტის მიღების შემდეგ და ღიაა ხელმოსაწერად, ასევე უნდა იყოს დეპონირებული ერთი ავთენტიკურ ეგზემპლარად ფრანგულ ენაზე გენერალურ დირექტორთან.
- (b) წინა (a) ქვეპუნქტში მითითებული ტექსტების ინგლისურ ვარიანტს ამ აქტის ძალაში შესვლისთანავე ამზადებს მე-3 მუხლში მოხსენიებული ექსპერტთა კომიტეტი. მისი ავთენტიკური ეგზემპლარი დეპონირდება გენერალურ დირექტორთან.
 - (c) ცვლილებები, რომლებიც მოხსენიებულია 3(iii) პუნქტში დეპონირდება თითო ავთენტიკურ ეგზემპლარად, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, გენერალურ დირექტორთან.
- (6) კლასიფიკაციის ოფიციალური ტექსტები არაბულ, გერმანულ, იტალიურ, პორტუგალიურ, რუსულ, ესპანურ და სხვა ენებზე, რომლებიც შეიძლება განსაზღვროს მე-5 მუხლში მოხსენიებულმა ასამბლეამ, დგინდება გენერალური დირექტორის მიერ დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციის შემდეგ ან ამ მთავრობის მიერ წარმოდგენილი თარგმანის ან ისეთი სხვა საშუალებების გამოყენების საფუძველზე, რომლებიც არ მოითხოვს სპეციალური კავშირის ან ორგანიზაციის ბიუჯეტის ფინანსურ ჩარევას.
- (7) ანბანურ ჩამონათვალში საქონლისა და მომსახურების თითოეული სახეობის გასწვრივ მითითებული უნდა იყოს რიგითი ნომერი იმ ენის შესაბამისად, რომელზედაც შედგენილია ჩამონათვალი, ამასთან:
- (i) ინგლისურ ანბანურ ჩამონათვალში მითითებული უნდა იყოს იმავე დასახელების რიგითი ნომერი ფრანგული ანბანური ჩამონათვლიდან და პირიქით;
 - (ii) მე-6 პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერ ენაზე შედგენილ ანბანურ ჩამონათვალში მითითებული უნდა იყოს იმავე დასახელების რიგითი ნომერი ინგლისური ანბანური ჩამონათვლიდან ან ფრანგული ანბანური ჩამონათვლიდან.

მუხლი 2

კლასიფიკაციის სამართლებრივი მოქმედება და გამოყენება

- (1) ამ შეთანხმებით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით, სპეციალური კავშირის თითოეულ ქვეყანაში კლასიფიკაცია განხორციელდება ისე, როგორც ამას განისაზღვრავს ეს ქვეყანა. კერძოდ, კლასიფიკაცია არ ზღუდავს სპეციალური კავშირის ქვეყნებს არც ნებისმიერი ნიშნის დაცვის ფარგლების განსაზღვრაში და არც მომსახურების ნიშნის დაცვის ობიექტად აღიარებაში.
- (2) სპეციალური კავშირის თითოეული ქვეყანა იტოვებს უფლებას, გამოიყენოს კლასიფიკაცია ძირითად ან დამხმარე სისტემად.
- (3) სპეციალური კავშირის ქვეყნების კომპეტენტურ უწყებებს ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტებსა და პუბლიკაციებში შეაქვთ კლასიფიკაციით განსაზღვრული იმ საქონლისა და მომსახურების შესაბამისი კლასების ნომრები, რომლისთვისაც რეგისტრირებულია ნიშანი.
- (4) დასახელების ანბანურ ჩამონათვალში შეტანის ფაქტი არანაირად არ მოქმედებს ნებისმიერ უფლებაზე, რომელიც შეიძლება არსებობდეს ამ დასახელებაზე.

მუხლი 3

ექსპერტთა კომიტეტი

- (1) სპეციალურ კავშირში იქმნება ექსპერტთა კომიტეტი, რომელშიც სპეციალური კავშირის ყოველი ქვეყანა არის წარმოდგენილი.
- (2) (a) გენერალურ დირექტორს შეუძლია და, ექსპერტთა კომიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია, ექსპერტთა კომიტეტის სხდომებზე დამკვირვებლის სტატუსით მოიწვიოს იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც არ შედიან სპეციალურ კავშირში, მაგრამ არიან ორგანიზაციის წევრები ან სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მხარეები.
- (b) გენერალური დირექტორი დამკვირვებლის სტატუსით იწვევს ექსპერტთა კომიტეტის სხდომებზე იმ სამთავრობათშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც სპეციალიზებულია ნიშნების სფეროში და რომელთა წევრი ერთი ქვეყანა მაინც არის სპეციალური კავშირის ქვეყანა.
- (c) გენერალურ დირექტორს შეუძლია და, ექსპერტთა კომიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია, მოიწვიოს სხვა სამთავრობათშორისო ორგანიზაციების ან არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მათთვის საინტერესო საკითხების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.
- (3) ექსპერტთა კომიტეტი:
 - (i) ღებულობს გადაწყვეტილებას კლასიფიკაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
 - (ii) უზრუნველყოფს სპეციალური კავშირის ქვეყნებს რეკომენდაციებს კლასიფიკაციის გამოყენების გაადვილებისა და მისი ერთნაირად გამოყენების ხელშეწყობის მიზნით;
 - (iii) ღებულობს ყველა სხვა ზომას, რომლებიც არ მოითხოვს სპეციალური კავშირის ან ორგანიზაციის ბიუჯეტის ფინანსურ ჩარევას და მიმართულია განვითარებადი ქვეყნების მიერ კლასიფიკაციის გამოყენების გაადვილებისაკენ;
 - (iv) უფლებამოსილია ჩამოაყალიბოს ქვეკომიტეტები და მუშა ჯგუფები.
- (4) ექსპერტთა კომიტეტი ღებულობს პროცედურის საკუთარ წესებს, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ქვეკომიტეტებსა და ექსპერტთა კომიტეტის მუშა ჯგუფებში 2(b) პუნქტში მოხსენიებული იმ სამთავრობათშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის შესაძლებლობას, რომელთაც შეუძლიათ შეიტანონ არსებითი წვლილი კლასიფიკაციის განვითარების საქმეში.
- (5) წინადადებები კლასიფიკაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ შეიძლება წარადგინოს სპეციალური კავშირის ნებისმიერი ქვეყნის კომპეტენტურმა უწყებამ, საერთაშორისო ბიურომ, ნებისმიერმა სამთავრობათშორისო ორგანიზაციამ, რომელიც წარმოდგენილია ექსპერტთა კომიტეტში 2(b) პუნქტის შესაბამისად და ასეთი წინადადების განსახილველად წარმოდგენის მიზნით ექსპერტთა კომიტეტის მიერ სპეციალურად მოწვეულმა ნებისმიერმა ქვეყანამ ან ორგანიზაციამ. წინადადებები ეგზავნება საერთაშორისო ბიუროს, რომელიც განსახილველად წარუდგენს მათ ექსპერტთა კომიტეტის წევრებსა და დამკვირვებლებს არანაკლებ ორი თვით ადრე ექსპერტთა კომიტეტის სესიის დაწყებამდე, რომელზედაც განხილულ უნდა იქნეს აღნიშნული წინადადებები.
- (6) სპეციალური კავშირის თითოეულ ქვეყანას აქვს ერთი ხმა.

- (7) (a) ექსპერტთა კომიტეტის გადაწყვეტილების მისაღებად, (b) ქვეპუნქტის დებულების გათვალისწინებით, საჭიროა სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სპეციალური კავშირის ქვეყნების ხმათა მარტივი უმრავლესობა.
- (b) კლასიფიკაციაში შესწორების შეტანასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სპეციალური კავშირის ქვეყნების ხმათა 4/5. „შესწორება“ გულისხმობს ერთი კლასიდან მეორე კლასში საქონლის გადატანას ან ახალი კლასის შექმნას.
- (c) მე-4 პუნქტში მოხსენიებულ პროცედურის წესებში გათვალისწინებულია, რომ კლასიფიკაციაში შესწორებების შეტანა, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, ხდება განსაზღვრული პერიოდების ბოლოს; თითოეული პერიოდის ხანგრძლივობას ადგენს ექსპერტთა კომიტეტი.
- (8) იმ მონაწილეთა ხმები, რომლებმაც კენჭისყრის დროს თავი შეიკავეს, ხმების დათვლისას მხედველობაში არ მიიღება.

მუხლი 4

შეტყობინება ცვლილების შესახებ, ცვლილებების ძალაში შესვლა და გამოქვეყნება

- (1) ექსპერტთა კომიტეტის მიერ მიღებული ცვლილებებისა და ექსპერტთა კომიტეტის რეკომენდაციების შესახებ შეტყობინებებს საერთაშორისო ბიურო უგზავნის სპეციალური კავშირის ქვეყნების კომპეტენტურ უწყებებს. შესწორებები ძალაში შედის შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან 6 თვის შემდეგ. ნებისმიერი სხვა ცვლილება ძალაში შედის ექსპერტთა კომიტეტის მიერ ცვლილების მიღებასთან ერთად დადგენილი თარიღიდან.
- (2) ძალაში შესული ცვლილებები საერთაშორისო ბიუროს შეაქვს კლასიფიკაციაში. ინფორმაცია ამ ცვლილებების შესახებ ქვეყნდება ისეთ პერიოდულ გამოცემებში, რომლებსაც განსაზღვრავს მე-5 მუხლში მოხსენიებული ასამბლეა.

მუხლი 5

სპეციალური კავშირის ასამბლეა

- (1) (a) სპეციალურ კავშირს გააჩნია ასამბლეა, რომელიც შედგება ქვეყნებისაგან, რომლებმაც მოახდინეს ამ აქტის რატიფიკაცია ან შეუერთდნენ მას.
- (b) ყოველი ქვეყნის მთავრობა წარმოდგენილია ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება დაეხმარონ მოადგილეები, მრჩეველები და ექსპერტები.
- (c) თითოეული დელეგაციის ხარჯებს თავის თავზე იღებს მთავრობა, რომელმაც ის დანიშნა.
- (2) (a) მე-3 და მე-4 მუხლების დებულებების თანახმად, ასამბლეა:
- (i) განიხილავს ყველა საკითხს, რომელიც ეხება სპეციალური კავშირის შენარჩუნებას, განვითარებასა და ამ შეთანხმების განხორციელებას;
- (ii) საერთაშორისო ბიუროს აძლევს მითითებებს კლასიფიკაციის გადასინჯვის მიზნით კონფერენციების მომზადების თაობაზე, სპეციალური კავშირის იმ ქვეყნების ნებისმიერი შენიშვნის სათანადო გათვალისწინებით, რომლებსაც არ მოუხდენიათ ამ აქტის რატიფიკაცია ან არ შეერთებიათ მას;

- (iii) განიხილავს და ამტკიცებს გენერალური დირექტორის ანგარიშებსა და საქმიანობას, რომლებიც ეხება სპეციალურ კავშირს და აძლევს მას ყველა აუცილებელ ინსტრუქციას სპეციალური კავშირის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;
 - (iv) ადგენს სპეციალური კავშირის პროგრამას და იღებს ორწლიან ბიუჯეტს, ამტკიცებს მის საბოლოო ანგარიშებს;
 - (v) იღებს სპეციალური კავშირის ფინანსურ რეგლამენტს;
 - (vi) მე-3 მუხლში მოხსენიებული ექსპერტთა კომიტეტის გარდა, დამატებით ქმნის ისეთ სხვა ექსპერტთა კომიტეტებსა და მუშა ჯგუფებს, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლის სპეციალური კავშირის მიზნების მისაღწევად;
 - (vii) განსაზღვრავს, კავშირის არაწვერი რომელი ქვეყანა და რომელი სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია დაიშვება დამკვირვებლად მის სხდომებზე;
 - (viii) იღებს 5-8 მუხლებში შესატან შესწორებებს;
 - (ix) ახორციელებს ნებისმიერ სხვა სათანადო ქმედებას, მიმართულს სპეციალური კავშირის მიზნების მიღწევის ხელშესაწყობად;
 - (x) ასრულებს ყველა სხვა ისეთ ფუნქციას, რომელიც შეესაბამება ამ შეთანხმებას.
- (b) გადაწყვეტილებები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც, ასევე არის ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული სხვა კავშირების დაინტერესების საგანიც, ასამბლეას გამოაქვს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევების მოსმენის შემდეგ.
- (3) (a) ასამბლეის ყოველ წევრ ქვეყანას გააჩნია ერთი ხმის უფლება.
- (b) ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის ნახევარი შეადგენს კენჭისყრის კვორუმს.
- (c) მიუხედავად (b) ქვეპუნქტის დებულებისა, თუ რომელიმე სესიაზე წარმოდგენილი ქვეყნების რიცხვი ნაკლებია საერთო რაოდენობის ნახევარზე, მაგრამ ტოლია ან მეტია ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის ერთ მესამედზე, ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები, მაგრამ ყველა ასეთი გადაწყვეტილება, გარდა მის საკუთარ პროცედურებთან დაკავშირებულისა, ძალაში შედის ქვემოთ მოყვანილი პირობის შესრულების შემთხვევაში. საერთაშორისო ბიურო უგზავნის ზემოხსენებულ გადაწყვეტილებებს ასამბლეის წევრ ქვეყნებს, რომლებიც არ იყვნენ წარმოდგენილნი სესიაზე, და სთავაზობს მათ მათთვის შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან სამი თვის ვადაში წერილობით გამოხატონ, ეთანხმებიან გადაწყვეტილებას, ეწინააღმდეგებიან მას, თუ თავს იკავებენ. თუ ამ ვადის გასვლის მომენტისათვის იმ წევრთა რაოდენობა, რომელთაც ამ სახით მისცეს ან არ მისცეს ხმა, ან თავი შეიკავეს, არ იქნება ნაკლები წევრთა იმ რაოდენობაზე, რომელიც დააკლდა კვორუმს სესიაზე, ასეთი გადაწყვეტილება შედის ძალაში იმ პირობით, რომ საჭირო უმრავლესობა მიღწეულია.
- (d) ასამბლეის გადაწყვეტილების მისაღებად, 8(2) მუხლის გათვალისწინებით, საჭიროა მიცემულ ხმათა ორი მესამედი.
- (e) ხმის მიცემისაგან თავის შეკავება კენჭისყრაში მონაწილეობად არ ითვლება.
- (f) დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა და ხმა მისცეს მისი სახელით.
- (g) სპეციალური კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან ასამბლეის წევრები,

სხდომებზე დაიშვებიან როგორც დამკვირვებლები.

- (4) (a) ასამბლეა გენერალური დირექტორის მოწვევით იკრიბება რიგით სესიაზე ერთხელ ყოველ მეორე კალენდარულ წელს და, განსაკუთრებულ გარემოებათა არარსებობისას, იმავე დროსა და იმავე ადგილზე, როდესაც და სადაც იკრიბება ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.
 - (b) საგანგებო სესიაზე, რომელსაც იწვევს გენერალური დირექტორი, ასამბლეა იკრიბება ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.
 - (c) ყოველი სესიის დღის წესრიგი მზადდება გენერალური დირექტორის მიერ.
- (5) ასამბლეა ღებულობს პროცედურის საკუთარ წესებს.

მუხლი 6

საერთაშორისო ბიურო

- (1) (a) სპეციალური კავშირის ადმინისტრაციული ამოცანები ხორციელდება საერთაშორისო ბიუროს მიერ.
 - (b) საერთაშორისო ბიურო, კერძოდ, ამზადებს სხდომებს და სამდივნოს სამსახურით უზრუნველყოფს ასამბლეას, ექსპერტთა კომიტეტსა და სხვა ისეთ კომიტეტებსა და მუშა ჯგუფებს, რომელთა შექმნაც შეუძლია ექსპერტთა კომიტეტს.
 - (c) გენერალური დირექტორი არის სპეციალური კავშირის მთავარი აღმასრულებელი პირი და წარმოადგენს სპეციალურ კავშირს.
- (2) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული ნებისმიერი თანამშრომელი ხმის უფლების გარეშე მონაწილეობენ ასამბლეის, ექსპერტთა კომიტეტებისა და სხვა ისეთი კომიტეტებისა და მუშა ჯგუფების ყველა სხდომაში, რომელთა შექმნაც შეუძლია ასამბლეას ან ექსპერტთა კომიტეტს. გენერალური დირექტორი ან მის მიერ დანიშნული ნებისმიერი თანამშრომელი *ex officio* არის ამ ორგანოების მდივანი.
- (3) (a) საერთაშორისო ბიურო, ასამბლეის მითითებით ასრულებს ამ შეთანხმების ღებულებების, გარდა 5-8 მუხლებში არსებულისა, გადასასინჯად გამიზნული კონფერენციების მოსამზადებელ სამუშაოებს.
- (b) საერთაშორისო ბიუროს შეუძლია, გადასინჯვის მიზნით ჩასატარებელი კონფერენციის მომზადებასთან დაკავშირებით, კონსულტაცია გაიაროს სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
- (c) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული პირები ხმის უფლების გარეშე მონაწილეობენ ამ კონფერენციებზე გამართულ კამათში.
- (4) საერთაშორისო ბიურო ასრულებს მასზე დაკისრებულ ნებისმიერ სხვა დავალებას.

მუხლი 7

ფინანსები

- (1) (a) სპეციალურ კავშირს გააჩნია ბიუჯეტი.
- (b) სპეციალური კავშირის ბიუჯეტი შეიცავს საკუთრივ სპეციალური კავშირის შემოსავლებსა და ხარჯებს, მათ შინაგანებს კავშირების საერთო ხარჯების ბიუჯეტში და, აგრეთვე, სათანადო შემთხვევებში კონფერენციის ბიუჯეტისათვის გამოყოფილ თანხას.

- (e) ხარჯები, რომლებიც მიეწერება არა მხოლოდ სპეციალურ კავშირს, არამედ ერთ ან მეტ სხვა კავშირსაც, რომელთა ადმინისტრირებასაც ახორციელებს ორგანიზაცია, განიხილება, როგორც კავშირების საერთო ხარჯები. ასეთ საერთო ხარჯებში სპეციალური კავშირის წილი პროპორციულია იმ სარგებელისა, რომელიც სპეციალურ კავშირს აქვს მასში.
- (2) სპეციალური კავშირის ბიუჯეტი დგინდება იმ სხვა კავშირების ბიუჯეტებთან კოორდინაციის მოთხოვნების სათანადო გათვალისწინებით, რომელთა ადმინისტრირებასაც ახორციელებს ორგანიზაცია.
- (3) სპეციალური კავშირის ბიუჯეტის დაფინანსების წყაროებია:
- (i) სპეციალური კავშირის ქვეყნების საწევრო შენატანები;
 - (ii) საერთაშორისო ბიუროს მიერ სპეციალურ კავშირთან მიმართებაში გაწეულ მომსახურებათა საფასურები და გადასახადები;
 - (iii) საერთაშორისო ბიუროს მიერ სპეციალური კავშირის შესახებ გამოცემული პუბლიკაციების გაყიდვით შემოსული თანხები ან მათთან დაკავშირებული როიალტი;
 - (iv) შემოწირულობები, ნაანდერძევი სახსრები და სუბსიდიები;
 - (v) რენტები, პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი და სხვ.
- (4) (a) სპეციალური კავშირის ყოველი ქვეყანა 3(ი) ქვეპუნქტში მოხსენიებული მისი საწევრო შენატანის დადგენის მიზნით განეკუთვნება იმავე კლასს, რომელსაც იგი ეკუთვნის სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კავშირში და ამ კლასის შესაბამისი ერთეულების საფუძველზე იხდის კუთვნილ წლიურ საწევრო შენატანს ამ კავშირში მოცემული კლასისათვის დადგენილი რაოდენობის მიხედვით.
- (b) სპეციალური კავშირის თითოეული წევრი ქვეყნის წლიური შენატანის სიდიდე ისეთივე თანაფარდობაშია ყველა ქვეყნის მიერ სპეციალური კავშირის ბიუჯეტში შეტანილ საერთო თანხასთან, როგორც მისი წილობრივი ერთეულების სიდიდე ყველა ქვეყნის წილობრივი ერთეულების ჯამთან.
- (c) საწევრო შენატანების გადახდა ხდება ყოველი წლის პირველი იანვრიდან.
- (d) ქვეყანა, რომელსაც აქვს საწევრო შენატანის დავალიანება, ვერ გამოიყენებს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას სპეციალური კავშირის ნებისმიერ ორგანოში, თუ მისი დავალიანების სიდიდე ტოლია ან აჭარბებს მისი ბოლო ორი სრული წლის საწევრო შენატანის სიდიდეს. ამასთან, სპეციალური კავშირის ნებისმიერ ორგანოს შეუძლია დართოს ნება ასეთ ქვეყანას გააგრძელოს ხმის უფლებით სარგებლობა ამ ორგანოში იმ შემთხვევაში და იმ დრომდე, ვიდრე დარწმუნებულია, რომ გადახდის დაგვიანება გამოწვეულია განსაკუთრებული და გარდაუვალი გარემოებებით.
- (e) იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი საფინანსო პერიოდის დაწყების წინ ბიუჯეტი არ არის მიღებული, იგი რჩება წინა წლის ბიუჯეტის ღონეზე, როგორც ეს გათვალისწინებულია ფინანსური რეგლამენტით.
- (5) საერთაშორისო ბიუროს მიერ სპეციალურ კავშირთან მიმართებაში გაწეული მომსახურების საფასურებისა და გადასახადების სიდიდეს ადგენს და ასამბლეას მოახსენებს გენერალური დირექტორი.
- (6) (a) სპეციალურ კავშირს გააჩნია საბრუნავი სახსრების ფონდი, რომელიც იქმნება კავშირის თითოეული ქვეყნის ერთჯერადი გადასახადით. თუ ფონდი არასაკმარისი ხდება, ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას მისი გაზრდის შესახებ.

- (b) თითოეული ქვეყნის საწყისი გადასახადის სიდიდე ხსენებულ ფონდში ან მისი მონაწილეობა ამ ფონდის გაზრდაში პროპორციულია ამ ქვეყნის შენატანისა იმ წელს, როდესაც დაარსდა ფონდი ან მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი გაზრდის შესახებ.
 - (e) პროპორციულობის კოეფიციენტი და გადახდის პირობები დგინდება ასამბლეის მიერ გენერალური დირექტორის წინადადების საფუძველზე და მას შემდეგ, რაც ასამბლეა მოისმენს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევას.
- (7) (a) შტაბბინის შესახებ შეთანხმებაში, რომელიც დადებულია ქვეყანასთან, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაციას აქვს თავისი შტაბბინა, გათვალისწინებულია, რომ, თუ საბრუნავი სახსრების ფონდი არასაკმარისია, ასეთი ქვეყანა გაიღებს სესხებს. ამ სესხების თანხა და გაცემის პირობები ყველა შემთხვევაში წარმოადგენს დამოუკიდებელი შეთანხმებების საგანს ასეთ ქვეყანასა და ორგანიზაციას შორის.
- (b) ქვეყანას, რომელიც მითითებულია (a) ქვეპუნქტში, და ორგანიზაციას უფლება აქვთ წერილობითი შეტყობინებით მოახდინონ სესხის გაცემის ვალდებულების დენონსაცია. დენონსაცია ძალაში შედის სამი წლის შემდეგ იმ წლის გასვლიდან, როდესაც გაკეთდა შეტყობინება.
- (8) ფინანსური აუდიტი ხორციელდება სპეციალური კავშირის ერთი ან მეტი ქვეყნის ან გარეშე აუდიტორების მიერ, როგორც ამას ითვალისწინებს ფინანსური რეგლამენტი. ისინი ინიშნებიან მათი თანხმობით, ასამბლეის მიერ.

მუხლი 8

შესწორებების შეტანა 5-8 მუხლებში

- (1) წინადადებები 5-7 მუხლებსა და ამ მუხლში შესწორებების შეტანის თაობაზე შეიძლება წამოყენებულ იქნეს ასამბლეის წევრი ნებისმიერი ქვეყნის ან გენერალური დირექტორის მიერ. ასეთი წინადადებები ასამბლეის წევრ ქვეყნებს ეგზავნება გენერალური დირექტორის მიერ ასამბლეაზე მათ განხილვამდე არანაკლებ ექვსი თვით ადრე.
- (2) შესწორებები მუხლებში, რომლებიც მითითებულია (1) პუნქტში, მიიღება ასამბლეის მიერ. შესწორების მისაღებად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების სამი მეოთხედი; თუმცა, მე-5 მუხლსა და ამ პუნქტში ნებისმიერი შესწორების მისაღებად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ოთხი მეხუთედი.
- (3) ნებისმიერი შესწორება მუხლებში, რომლებიც მითითებულია (1) პუნქტში, ძალაში შედის ერთ თვეში მას შემდეგ, რაც გენერალურ დირექტორს ჩაბარდება წერილობითი შეტყობინება შესწორებების მიღებისათვის კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების შესახებ იმ ქვეყნების სამი მეოთხედიდან, რომლებიც ასამბლეის მიერ შესწორების მიღების მომენტისათვის იყვნენ მისი წევრები. ზემოხსენებულ მუხლებში ასეთი წესით მიღებული ნებისმიერი შესწორება საგაუდებულოა ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელიც შესწორების ძალაში შესვლის თარიღისათვის უკვე არის ასამბლეის წევრი ან რომელიც გახდა მისი წევრი უფრო მოგვიანებითი თარიღისათვის იმ პირობით, რომ ნებისმიერი შესწორება, რომელიც ზრდის სპეციალური კავშირის ქვეყნების ფინანსურ ვალდებულებებს, ვრცელდება მხოლოდ იმ ქვეყნებზე, რომლებმაც გაგზავნეს შეატყობინება ასეთი შესწორებების აღიარების შესახებ.

მუხლი 9

რატიფიკაცია და შეერთება; ძალაში შესვლა

- (1) სპეციალური კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ხელი მოაწერა ამ აქტს, შეუძლია მისი რატიფიკაცია, ხოლო თუ მას არა აქვს ხელი მოწერილი, შეუძლია მასთან შეერთება.
- (2) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც არ შედის სპეციალურ კავშირში და არის სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მხარე, შეუძლია შეუერთდეს ამ აქტს და, ამრიგად, გახდეს სპეციალური კავშირის ქვეყანა.
- (3) რატიფიკაციისა და შეერთების დოკუმენტების დეპონირება ხდება გენერალურ დირექტორთან.
- (4) (a) ეს აქტი ძალაში შედის შემდეგი ორი პირობის შესრულებიდან სამი თვის შემდეგ:
 - (i) რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტს დეპოზიტზე წარადგენს ექვსი ან მეტი ქვეყანა; და
 - (ii) ამ ქვეყნებიდან სამი მაინც არის სპეციალური კავშირის ქვეყანა იმ თარიღისათვის, როდესაც აქტი ღიაა ხელმოსაწერად.
- (b) ძალაში შესვლა, რომელზეც ლაპარაკია (ა) ქვეპუნქტში ვრცელდება ქვეყნებზე, რომლებმაც რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტი დეპოზიტზე წარადგინეს სულ მცირე სამი თვით ადრე ძალაში შესვლის თარიღამდე.
- (c) ნებისმიერი იმ ქვეყნისათვის, რომელსაც არ ეხება (ბ) ქვეპუნქტი, ეს აქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ თარიღიდან, როდესაც გენერალური დირექტორის მიერ გავრცელებულ იქნა შეტყობინება ამ ქვეყნის რატიფიკაციის ან შეერთების შესახებ, თუ რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტში უფრო გვიანი თარიღი არ იქნა მითითებული. უკანასკნელ შემთხვევაში ამ ქვეყნის მიმართ აქტი ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან.
- (5) რატიფიკაციას ან შეერთებას ავტომატურად მოსდევს ამ აქტით დადგენილი ყველა დებულების ცნობა და ყველა უპირატესობით სარგებლობა.
- (6) ამ აქტის ძალაში შესვლის შემდეგ არცერთ ქვეყანას არ შეუძლია მოახდინოს რატიფიკაცია ან შეუერთდეს ამ შეთანხმების ნებისმიერ აღრიხედულ აქტს.

მუხლი 10

მოქმედების ვადა

ამ შეთანხმებას აქვს იგივე მოქმედების ვადა, რაც სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციას.

მუხლი 11

გადასინჯვა

- (1) ეს შეთანხმება შეიძლება გადასინჯოს დროდადრო სპეციალური კავშირის ქვეყნების კონფერენციის მიერ.
- (2) გადაწყვეტილებას შეთანხმების გადასინჯვის მიზნით კონფერენციის მოწვევის შესახებ ღებულობს ასამბლეა.

- (3) მუხლები 5-8 შეიძლება შესწორდეს შეთანხმების გადასინჯვის მიზნით მოწვეული კონფერენციის მიერ ან მე-8 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 12

დენონსაცია

- (1) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ამ აქტის დენონსაცია გენერალური დირექტორის სახელზე შეტყობინების გავზავნით. ასეთი დენონსაცია ასევე, განაპირობებს ამ შეთანხმების იმ ადრინდელი აქტის ან აქტების დენონსაციასაც, რომელთა რატიფიკაციაც მოახდინა ან რომლებსაც შეუერთდა ქვეყანა, რომელმაც განახორციელა ამ აქტის დენონსაცია და ვრცელდება მხოლოდ ამ ქვეყანაზე. შეთანხმება სრულად ინარჩუნებს ძალას და მოქმედებს კავშირის დანარჩენ ქვეყნებში.
- (2) დენონსაცია ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან ერთი წლის შემდეგ.
- (3) ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსაციის უფლება არ გამოიყენება არც ერთი ქვეყნის მიერ, ვიდრე არ გავა ხუთი წელი თარიღიდან, როდესაც ის გახდა სპეციალური კავშირის ქვეყანა.

მუხლი 13

მითითება პარიზის კონვენციის 24-ე მუხლზე

სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის 1967 წლის სტოკჰოლმის აქტის 24-ე მუხლის დებულებები გამოიყენება ამ შეთანხმებაში იმ პირობით, რომ, თუ მომავალში ეს დებულებები შეიცვლება, უკანასკნელი ცვლილება შეთანხმებაში გამოიყენება სპეციალური კავშირის იმ ქვეყნების მიმართ, რომელთათვისაც სავალდებულოა ეს ცვლილება.

მუხლი 14

ხელმოწერა; ენები; დეპოზიტარის ფუნქციები

- (1) (a) ხელის მოწერა ხორციელდება ამ აქტის ერთ ორიგინალზე, რომელიც დაბეჭდილია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე; ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტიკურია, და წარედგინება გენერალურ დირექტორს დეპოზიტზე.
 - (b) ამ აქტის ოფიციალურ ტექსტებს ორ სხვა, რუსულ და ესპანურ ენებზე, რომლებზეც (a) ქვეპუნქტში მოხსენიებულ ენებთან ერთად ხელმოწერილ იქნა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის ავთენტიკური ტექსტები, ადგენს გენერალური დირექტორი დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციების შემდეგ ამ აქტის ხელმოწერის თარიღიდან ორ თვეში.
 - (c) ამ აქტის ოფიციალური ტექსტები არაბულ, გერმანულ, იტალიურ და პორტუგალიურ და სხვა ისეთ ენებზე, რომლებიც შეიძლება განსაზღვროს ასამბლეამ, დგინდება გენერალური დირექტორის მიერ დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციების შემდეგ.
- (2) ეს აქტი ღიაა ხელმოსაწერად 1977 წლის 31 დეკემბრამდე.

- (3) (a) გენერალური დირექტორი მის მიერ დამოწმებულ ამ აქტის ხელმოწერილი ტექსტის ორ ეგზემპლარს უგზავნის სპეციალური კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობას და, მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა ნებისმიერი ქვეყნის მთავრობას.
- (b) გენერალური დირექტორი ამ აქტის ნებისმიერი შესწორების მის მიერ დამოწმებულ ორ ეგზემპლარს უგზავნის, სპეციალური კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობას და, მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა ნებისმიერი ქვეყნის მთავრობას.
- (4) გენერალური დირექტორი ამ აქტს არეგისტრირებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.
- (5) გენერალური დირექტორი სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყნის მთავრობას აუწყებს:
- (i) ამ მუხლის (1) პუნქტის შესაბამისად ხელმოწერების შესახებ;
 - (ii) რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტების 9(3) მუხლის შესაბამისად დეპონირების შესახებ;
 - (iii) ამ აქტის 9(4)(a) მუხლის შესაბამისად ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;
 - (iv) ამ აქტში 8(3) მუხლის შესაბამისად შეტანილი შესწორებების მიღების შესახებ;
 - (v) ასეთი შესწორებების ძალაში შესვლის თარიღების შესახებ;
 - (vi) დენონსაციის თაობაზე მე-12 მუხლის შესაბამისად შეტყობინების მიღების შესახებ.

* * *

**ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ
მადრიდის შერთანხმების**

ოქმი

მიღებულია მადრიდში 1989 წლის 27 ივნისს,
შესწორებულია 2006 წლის 3 ოქტომბერს

(ამონარიდი)

მუხლი 3

[საერთაშორისო განაცხადი]

(2) განმცხადებელმა უნდა მიუთითოს იმ საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი, რომლისთვისაც მოითხოვება ნიშნის დაცვა და, აგრეთვე, თუ შესაძლებელია, შესაბამისი კლასი ან კლასები ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ ნიშნის შეთანხმების მიხედვით. თუ განმცხადებელი არ მიუთითებს კლასებს, საერთაშორისო ბიურო თვითონ ანაწილებს საქონელსა და მომსახურებას აღნიშნული კლასიფიკაციის შესაბამისი კლასების მიხედვით. განმცხადებლის მიერ მითითებული კლასები ექვემდებარება შემოწმებას საერთაშორისო ბიუროს მხრიდან, რომელიც აღნიშნულ შემოწმებას ეროვნულ უწყებასთან ერთად ახორციელებს. ეროვნულ უწყებასა და საერთაშორისო ბიუროს შორის უთანხმოების შემთხვევაში უპირატესობა უკანასკნელის მოსაზრებას ენიჭება.

მუხლი 4

[საერთაშორისო რეგისტრაციის შედეგები]

(1)(a) ყოველ მითითებულ მონაწილე მხარეში ნიშნის დაცვა 3 და 3^{ter} მუხლების დებულებების შესაბამისად განხორციელებული რეგისტრაციის ან ჩანაწერის შეტანის თარიღიდან იქნება ისეთივე, როგორც იქნებოდა ნიშნის უშუალოდ ამ მონაწილე მხარის უწყებაში წარდგენისას. თუ საერთაშორისო ბიუროს დაცვაზე უარის შესახებ არანაირი შეტყობინება არ გაეგზავნა 5(1) და 5(2) მუხლების შესაბამისად ან სხენებული მუხლების შესაბამისად დაცვაზე უარის შესახებ გაგზავნილი შეტყობინება შემდგომში გამოთხოვნილი იქნა უკან, ზემოთ აღნიშნული თარიღიდან ნიშნის დაცვა მითითებულ მონაწილე მხარეში იქნება ისეთივე, როგორც ნიშნის ამ მონაწილე მხარის უწყების მიერ რეგისტრაციის შემთხვევაში.

(b) საქონლისა და მომსახურების კლასების მითითება, რასაც მე-3 მუხლი ითვალისწინებს, არ ზღუდავს მონაწილე მხარეებს ნიშნის დაცვის ფარგლების განსაზღვრის თვალსაზრისით.

მუხლი 5

[ზოგიერთი მონაწილე მხარის მიერ ნიშნის დაცვაზე უარის თქმა და საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების ძალადაკარგულად ცნობა]

(1) ნებისმიერი მონაწილე მხარის უწყებას, რომელსაც საერთაშორისო ბიურომ 3^{ter}(1) ან 3^{ter}(2) მუხლის მიხედვით შეატყობინა ამ მონაწილე მხარეზე საერთაშორისო რეგისტრაციის შედეგად წარმოქმნილი დაცვის გავრცელების შესახებ, უფლება აქვს, თუ მოქმედი კანონმდებლობა ამის ნებას იძლევა, უარის შეტყობინებაში განაცხადოს, რომ ნიშანს, რომელიც ასეთი გაფართოების საგანია, ხსენებული მონაწილე მხარის ტერიტორიაზე დაცვა არ ენიჭება. ყოველი ასეთი უარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ისეთ ნორმებს, რომლებიც სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის თანახმად შეიძლებოდა გამოეყენებულყო ნიშნის უშუალოდ უარყოფითი გადაწყვეტილების გამომტან უწყებაში წარდგენის შემთხვევაში. თუმცა დაცვაზე არ შეიძლება ეთქვას ნაწილობრივი უარიც კი, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის კლასების ან შეზღუდული რაოდენობის საქონლისა და მომსახურების რეგისტრაცია.

მუხლი 8

[საერთაშორისო განაცხადისა და რეგისტრაციის საფასური]

(2) საერთაშორისო ბიუროში ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაცია ექვემდებარება იმ წინასწარი საერთაშორისო საფასურის გადახდას, რომელიც (7)(a) პუნქტის თანახმად უნდა შეიცავდეს:

- (i) ძირითად საფასურს;
- (ii) შემავსებელ საფასურს საერთაშორისო კლასიფიკაციის სამზე მეტ ყოველ დამატებით კლასზე, რომელშიც მოხვდება სასაქონლო ნიშნით მოსანიშნი საქონელი ან მომსახურება;
- (iii) დამატებით საფასურს 3^{ter} მუხლის შესაბამისად დაცვის გაფართოების ყოველი მოთხოვნისათვის.

(3) თუმცა (2)(ii) პუნქტში მითითებული შემავსებელი საფასური შეიძლება გადახდილ იქნეს მოგვიანებით, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღის შენარჩუნებით, ვადაში, რომელიც ინსტრუქციით არის დადგენილი, თუ საქონლისა ან მომსახურების ჩამონათვლის კლასების რაოდენობა განისაზღვრა ან, არ იქნა გაზიარებული საერთაშორისო ბიუროს მიერ. თუ განმცხადებლის მიერ ხსენებული ვადის გასვლამდე შემავსებელი საფასური არ იქნა გადახდილი ან საქონლის ან მომსახურების ჩამონათვალი არ იქნა შემცირებული მოთხოვნილ რაოდენობამდე, საერთაშორისო განაცხადზე საქმის წარმოება შეწყვეტილად ითვლება.

მუხლი 9

[საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელის ცვლილებების შესახებ ჩანაწერის შეტანა]

საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელი პირის ან დაინტერესებული უწყების *ex officio* მოთხოვნით ან დაინტერესებული პირის მოთხოვნით საერთაშორისო ბიუროს საერთაშორისო რეგისტრში შეაქვს ჩანაწერი რეგისტრაციის მფლობელის ნებისმიერი ცვლილებების შესახებ იმ

ყველა ან ზოგიერთი მონაწილე მხარის მიმართ, რომელთა ტერიტორიაზეც მოქმედებდა ხსენებული რეგისტრაცია და იმ ყველა ან ზოგიერთი საქონლისა და მომსახურებისათვის, რომლებიც შეტანილია რეგისტრში, თუ ახალი მფლობელი არის პირი, რომელიც ამ ოქმის 2(1) მუხლის შესაბამისად უფლებამოსილია შეიტანოს საერთაშორისო განაცხადი.

* * *

ნოცის კლასიფიკაცია

სახელმძღვანელო მომხმარებლისათვის

1. კლასის დასათაურება ზოგადად მიუთითებს იმ სფეროებზე, რომელთაც, ძირითადად, შეიძლება მიეკუთვნოს საქონელი ან მომსახურება.

2. ყოველი კონკრეტული საქონლის ან მომსახურების კლასის დასადგენად გამოიყენება საქონლისა და მომსახურების ანბანური ჩამონათვალი და კლასების ჩამონათვალთან დაკავშირებული განმარტებები. თუ საქონლის ან მომსახურების კლასის დადგენა ვერ ხერხდება კლასების ჩამონათვლის, განმარტებებისა და ანბანური ჩამონათვლის დახმარებით, გამოიყენება ზოგად შენიშვნებში ჩამოყალიბებული კრიტერიუმები (იხ. გვ. 3).

3. ქართული ანბანური ჩამონათვალი წარმოდგენილია თითოეულ გვერდზე ხუთ სვეტად, რომლებიც ცალკეული ნაწარმის ან მომსახურებისათვის მიუთითებს:

პირველი სვეტი: იმ კლასის ნომერს, რომელსაც მიეკუთვნება ნაწარმი ან მომსახურება;

მეორე სვეტი: ნაწარმის ან მომსახურების დასახელების სერიულ ნომერს³ (ქართული კლასიფიკაცია);

მესამე სვეტი: ნაწარმის ან მომსახურების ქართულ დასახელებას;

მეოთხე სვეტი: ნაწარმის ან მომსახურების დასახელების ძირითად ნომერს³;

მეხუთე სვეტი: ნაწარმის ან მომსახურების დასახელების სერიულ ნომერს³ (ინგლისური კლასიფიკაცია).

4. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ნაწარმი ან მომსახურება ანბანურ ჩამონათვალში შეიძლება შეტანილ იქნეს რამდენჯერმე, ნაწარმის ან მომსახურების დასახელების სხვადასხვაგვარად ჩამოყალიბების შესაბამისად, ე.წ. „ჯვარედინი მიმართვა“.

5. ის ფაქტი, რომ ზოგადი ტერმინი ანბანურ ჩამონათვალში მოცემულია კონკრეტულ კლასს მიკუთვნებული ნაწარმის ან მომსახურების დასახელებასთან კავშირში, არ გამორიცხავს ამ ტერმინის გამოყენებას სხვა კლასს მიკუთვნებული ნაწარმის ან მომსახურების დასახელებაში იმისდა მიხედვით, თუ როგორაა დასახელება ჩამოყალიბებული. ასეთ შემთხვევაში, ზოგადი ტერმინი (მაგ.: ტანსაცმელი, საღებავები) ანბანურ ჩამონათვალში აღნიშნულია ვარსკვლავით (*).

³ მაშინ, როცა მოცემული ნაწარმის ან მომსახურების სერიული ნომერი განსხვავებულია კლასიფიკაციის თითოეული ენობრივი ვერსიისათვის, მათი ძირითადი ნომერი ერთი და იგივეა კლასიფიკაციის ყველა იმ ენობრივი ვერსიისათვის, რომელიც გამოქვეყნებულია OSM-ს მიერ ან მასთან თანამშრომლობით. ძირითადი ნომერი საშუალებას აძლევს მომხმარებელს, მონახოს შესაბამისი ნაწარმი ან მომსახურება კლასიფიკაციის ნებისმიერი ენობრივი ვერსიის ანბანურ ჩამონათვალში.

6. ანბანურ ჩამონათვალში კვადრატულ ფრჩხილებში მოცემული დასახელება, უმეტეს შემთხვევაში, ფრჩხილების წინ მოთავსებული ტექსტის დაზუსტებაა, როდესაც ეს ტექსტი კლასიფიკაციის თვალსაზრისით ორაზროვანი, ბუნდოვანი, ან უცხოა. ზოგიერთ შემთხვევაში კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებულია ფრჩხილების წინ არსებული ტექსტის ამერიკული დასახელება, რასაც, უმრავლეს შემთხვევაში, მოსდევს აღნიშვნა „(ამერ.)”

7. ანბანურ ჩამონათვალში დასახელება მრგვალ ფრჩხილებში შეიძლება წარმოადგენდეს ნაწარმის ან მომსახურების სხვაგვარად ჩამოყალიბებულ დასახელებას, რომელიც, თავის მხრივ, შეტანილია ანბანურ ჩამონათვალში შესაბამის ადგილზე (ე. წ. „ჯვარედინი მითითება”). სხვა შემთხვევაში, დასახელება მრგვალ ფრჩხილებში შეიძლება იწყებოდეს ზოგადი ტერმინით (მაგ.: აპარატები, გამტარი, მანქანები), რომლითაც ნაწარმი ან მომსახურება არ არის წარმოდგენილი ანბანურ ჩამონათვალში. მრგვალი ფრჩხილების წინ მოთავსებული ტექსტი მოცემული ნაწარმის ან მომსახურების დასახელების უმნიშვნელოვანესი ნაწილია და იგი ფრჩხილებში შეცვლილია ნიშნით „-“.

8. ნიშნის რეგისტრაციის მიზნით საქონლის ან მომსახურების კლასის დადგენისას რეკომენდებულია ანბანურ ჩამონათვალში მოცემული დასახელებების გამოყენება, რითაც თავიდან ავიცილებთ ბუნდოვან დასახელებებს ან ისეთი ძირითადი ტერმინების გამოყენებას, რომლებიც საკმარისად ზუსტად არ არის განსაზღვრული.

9. ანბანურ ჩამონათვალში ნაწარმის ან მომსახურების მოცემული დასახელების არსებობის ფაქტი არანაირად არ ზღუდავს სამრეწველო საკუთრების ეროვნულ უწყებას ამ ნაწარმის ან მომსახურებისათვის ნიშნის რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების გამოტანისას (იხ. ნიციის შეთანხმება, მუხლი 2(1)).

ზოგადი პენიშვნები

კლასის დასათაურებაში მოცემული საქონლისა და მომსახურების დასახელებები იმ სფეროსთან დაკავშირებული ზოგადი დასახელებებია, რომელსაც მიეკუთვნება საქონელი ან მომსახურება. კონკრეტული საქონლის ან მომსახურების კლასის ზუსტად დასადგენად მხედველობაში მიიღება საქონლისა და მომსახურების ანბანური ჩამონათვალი.

საქონელი

თუ ნაწარმის კლასიფიცირება შეუძლებელია კლასების ჩამონათვალის, განმარტებებისა და ანბანური ჩამონათვალის მიხედვით, მხედველობაში მიიღება ქვემოთ ჩამოყალიბებული კრიტერიუმები:

(a) საბოლოო ნაწარმი კლასიფიცირდება, ძირითადად, მისი ფუნქციის ან დანიშნულების შესაბამისად. თუ საბოლოო ნაწარმის ფუნქცია ან დანიშნულება არ არის მითითებული არც ერთი კლასის დასათაურებაში, იგი კლასიფიცირდება ანბანურ ჩამონათვალში მოცემულ სხვა თანაზომად, შესაბამის ნაწარმთან ანალოგიით. თუ ასეთი ანალოგიური ნაწარმი ვერ მოიძებნა, განიხილება სხვა დამხმარე კრიტერიუმები, ისეთები, როგორცაა მასალა, რომლითაც ნაწარმი დამზადებული ან ნაწარმის მუშაობის რეჟიმი.

(b) მრავალდანიშნულადაც საბოლოო ნაწარმი (მაგ.: რადიომღვიმე), შესრულებული ფუნქციის ან განსაზღვრული დანიშნულების შესაბამისად, შეიძლება მიეკუთვნოს რამდენიმე კლასს. თუ ეს ფუნქცია ან დანიშნულება არ არის მოხსენიებული კლასის დასათაურებაში, უნდა ვისარგებლოთ პუნქტით (a) განსაზღვრული კრიტერიუმებით.

(c) ნედლეული, დაუმუშავებული ან ნახევრად დამუშავებული მასალა კლასიფიცირდება, ძირითადად, მათი შემადგენელი მასალის მიხედვით.

(d) საქონელი, რომელიც გამოიყენება სხვა ნაწარმში შემადგენელი ნაწილის სახით კლასიფიცირდება, ძირითადად, იმავე კლასში, თუ მას არ გააჩნია სხვა დანიშნულება. ყველა სხვა შემთხვევაში უნდა ვისარგებლოთ პუნქტით (a) განსაზღვრული კრიტერიუმებით.

(e) როდესაც საბოლოო ან ნახევრად დამუშავებული ნაწარმს აქვს რთული შედგენილობა, ის კლასიფიცირდება იმ მასალის მიხედვით, რომელსაც იგი შეიცავს ყველაზე დიდი რაოდენობით.

(f) საქონლის შესაფუთად და შესანახად განკუთვნილი მოცულობები კლასიფიცირდება იმავე კლასში, რომელშიც კლასიფიცირებულია შესანახი საქონელი.

მომსახურება

თუ მომსახურების კლასიფიცირება შეუძლებელია კლასების ჩამონათვალის, განმარტებებისა და ანბანური ჩამონათვალის მიხედვით, გამოიყენება (მხედველობაში მიიღება) ქვემოთ ჩამოყალიბებული კრიტერიუმები:

(a) მომსახურება კლასიფიცირდება, ძირითადად, მოღვაწეობის იმ სფეროების შესაბამისად, რომლებიც მითითებულია მომსახურების კლასების დასათაურებაში და მათ განმარტებებში ან – თუ იქ არ არის მითითებული – ანბანურ ჩამონათვალში მოცემულ სხვა თანაზომად, შესაბამის მომსახურებასთან ანალოგიით.

(b) გაქირავების მომსახურება კლასიფიცირებულია, ძირითადად, იმავე კლასებში, რომლებშიც უზრუნველყოფილია მომსახურება გაქირავების ობიექტების საშუალებით (მაგ., ტელეფონების გაქირავება მიეკუთვნება 38-ე კლასს).

(c) რჩევასთან, ინფორმაციასა და კონსულტაციასთან დაკავშირებული მომსახურება კლასიფიცირებულია, ძირითადად, იმავე კლასებში, რომელთა ობიექტსაც წარმოადგენს რჩევასთან, ინფორმაციასა და კონსულტაციასთან დაკავშირებული მომსახურება, მაგ.: კონსულტაცია გადაზიდვებზე (კლასი 39), საქმიანობის მართვის კონსულტაცია (კლასი 35), კონსულტაცია ფინანსების დარგში (კლასი 36), კონსულტაცია სილამაზის სამსახურზე (კლასი 44). რჩევა, ინფორმაცია ან კონსულტაცია ელექტრონული საშუალებების მეშვეობით (მაგ.: ტელეფონით, კომპიუტერით) არ არის დაკავშირებული მოცემული მომსახურების უზრუნველყოფის საშუალებებთან.

ჯლასების დასათაურება

საქონელი

- კლასი 1* სამრეწველო და სამეცნიერო დანიშნულების, ფოტოგრაფიაში, მეტყვევობასა და მებაღეობაში გამოსაყენებელი ქიმიური ნაწარმი; დაუშუშავებელი სინთეზური ფისები, დაუშუშავებელი პლასტმასები; სასუქები; ცეცხლმქრობი შედგენილობები; ქიმიური ნივთიერებები წრთობისა და რჩილვისათვის; საკვები პროდუქტების დასაკონსერვებელი ქიმიური ნივთიერებები; სამრეწველო დანიშნულების მწებავი ნივთიერებები.
- კლასი 2* საღებავები, ოლიფა, ლაკები; ლითონის კოროზიისა და მერქნის დაშლისაგან დამცავი ნივთიერებები; საღებარი ნივთიერებები; ამომჭმელები; დაუშუშავებელი ბუნებრივი ფისები; სამხატვრო-დეკორატიული დანიშნულებისა და მხატვრული ბეჭდვისათვის განკუთვნილი ფურცლოვანი და ფხვიერი ლითონები.
- კლასი 3* მათეთრებელი პრეპარატები და სხვა სარეცხი ნივთიერებები; წმენდის, გაპრი-ალების, გაუცხიმოვნებისა და აბრაზიული დამუშავების პრეპარატები; საპნები; პარფიუმერია, ეთერზეთები, კოსმეტიკური საშუალებები, თმის ლოსიონები; კბილის ფხვნილები და პასტები.
- კლასი 4* ტექნიკური ზეთები და საპონები (კონსისტენტური); საზეთი მასალა; მტვრის შთამთქმელი, დამსველებელი და შემკვრელი შედგენილობები; საწვავი (მათ შორის, ძრავას ბენზინი) და გასანათებელი ნივთიერებები; გასანათებელი პატრუქები და სანთლები.
- კლასი 5* ფარმაცევტული და ვეტერინარული პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების ჰიგიენური პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების დიეტური ნივთიერებები, ბავშვთა კვება; სალბუნები, სახვევი მასალა; კბილის დასაბუნენი და კბილის ტვიფრის დასამზადებელი მასალა; მღვინფიცირებელი საშუალებები; მავნე ცხოველების გასანადგურებელი პრეპარატები; ფუნგიციდები, ჰერბიციდები.
- კლასი 6* ჩვეულებრივი ლითონები და მათი შენადნობები; ლითონის სამშენებლო მასალა; ლითონის მოძრავი კონსტრუქციები და ნაგებობები; ლითონის მასალა ლიან-დაგებისათვის; ჩვეულებრივი ლითონის გვარლები და მავთული (არა ელექტრული); რკინა-კავეული და საკეტი ნაწარმი; ლითონის მილები და მილსადენები; სეიფები; ჩვეულებრივი ლითონის ნაკეთობა, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; მადანი.
- კლასი 7* მანქანები და ჩარხები; მოტორები და ძრავები (მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილის გარდა); შეერთებები და გადაცემის ელემენტები (მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილის გარდა); სასოფლო-სამეურნეო იარაღები, განსხვავებული ხელის იარაღებისაგან; ინკუბატორები.
- კლასი 8* ხელის იარაღები და ინსტრუმენტები (ხელით სამართავი); მჭრელი ნაკეთობა; ცივი იარაღი; სამართებლები.

- კლასი 9* სამეცნიერო, საზღვაო, გეოდეზიური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, ოპტიკური, ამწონი, გამზომი, სასიგნალო, საკონტროლო (შემოწმების), სამაშველო და სასწავლო ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ელექტრობის გადაცემის, განაწილების, გარდაქმნის, დაგროვების, რეგულირების ან მართვის ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ხმის ან გამოსახულების ჩამწერი, გადამცემი და აღმწარმოებელი აპარატურა; ინფორმაციის მაგნიტური მატარებლები, ხმის ჩამწერი დისკები; სავაჭრო ავტომატები და მექანიზმები აპარატებისათვის წინასწარი გადახდით; სალაროს აპარატები, საანგარიშო მანქანები, ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა და კომპიუტერები; ცეცხლმქრობები.
- კლასი 10* კლასი ქირურგიული, სამედიცინო, სტომატოლოგიური და ვეტერინარული ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; კიდურების, თვალისა და კბილების პროთეზები; ორთოპედიული ნაწარმი; ნაკერების დასადები მასალა.
- კლასი 11* განათების, გათბობის, ორთქლწარმოქმნის, საკვები პროდუქტის თბური დამუშავების, გასაცივებელი, საშრობი, ვენტილაციის, წყალგამანაწილებელი და სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობები.
- კლასი 12* სატრანსპორტო საშუალებები; ხმელეთზე, წყალსა და ჰაერში გადასადგილებელი აპარატები.
- კლასი 13* ცეცხლსასროლი იარაღი; საბრძოლო მასალა და ჭურვები; ფეთქებადი ნივთიერებები; ფეიერვერკი.
- კლასი 14* კეთილშობილი ლითონები და მათი შენადნობები, მათგან დამზადებული ან დაფარული ნაკეთობა, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; საიუველირო ნაწარმი, ძვირფასი ქვები; საათები და სხვა ქრონომეტრული ხელსაწყოები.
- კლასი 15* მუსიკალური ინსტრუმენტები.
- კლასი 16* ქაღალდი, მუყაო და მათი ნაწარმი, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; ნაბეჭდი პროდუქცია; მასალა საამკინძაო სამუშაოებისათვის; ფოტოსურათები; საწერ-ქაღალდის საქონელი; საკანცელარიო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მწებავი ნივთიერებები; მხატვართა საკუთნო; ფუნჯები; საბეჭდი მანქანები და ოფისის საკუთნო (ავეჯის გარდა); სასწავლო მასალა და თვალსაჩინოება (აპარატურის გარდა); პლასტმასის შესაფუთი მასალა (რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს); შრიფტი; ტიპოგრაფიული კლიშე.
- კლასი 17* კაუჩუკი, რეზინი, გუტაპერჩი, აზბესტი, ქარსი და ამ მასალებისაგან დამზადებული ნაწარმი, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; დაყალიბებული პლასტმასის ნაწარმი წარმოებაში გამოსაყენებლად; დასაგმანი, შესამჭიდროებელი და საიზოლაციო მასალა; არალითონური მოქნილი მილები.
- კლასი 18* კლასი ტყავი და ტყავის იმიტაცია, მათი ნაწარმი, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; ცხოველთა ტყავი, ბეწვეული; სამგზავრო სკივრები, ჩემოდნები; წვიმისა და მზის ქოლგები და ხელჯოხები; შოლტები, მათრახები, ცხენის აღკაზმულობა და სასარაჯე ნაკეთობა.
- კლასი 19* არალითონური სამშენებლო მასალა; სამშენებლო დანიშნულების არალითონური ხისტი მილები; ასფალტი, ფისები და ბიტუმი; არალითონური მოძრავი კონსტრუქციები და ნაგებობები; არალითონური ძეგლები.

- კლასი 20* ავეჯი, სარკეები, სურათების ჩარჩოები და ა.შ.; ხის, კორპის, ლელქაშის, ლერწმის, ტირიფის, რქის, ძვლის, სპილოს ძვლის, ვეშაპის უღვამის, კუს ბაკნის, ნიჟარის, ქარვის, სადაფის, „ზღვის ზვირთქლისა“ და ამ მასალების შემცველებებისაგან დამზადებული ნაკეთობა, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს.
- კლასი 21* საოჯახო და სამზარეულო ჭურჭელი და ჭურჭლეული; სავარცხლები და ღრუბლები; ჯაგრისები (ფუნჯების გარდა); მასალები ჯაგრისის ნაკეთობისათვის; სამარჯვები წმენდისა და დასუფთავებისათვის; ლითონის ნეჭა; დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული მინა (სამშენებლო მინის გარდა); მინის, ფაიფურისა და ქაშანურის ნაკეთობა, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს.
- კლასი 22* ბაგირები, ბაწრები, თოკები, ბადეები, კარვები, ჩარდახები, ბრეზენტი, იალქნები და ტომრები, რომლებიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; დასატენი მასალა (რეზინისა და პლასტმასის მასალის გარდა); საფეიქრო ბოჭკოვანი ნედლეული.
- კლასი 23* საფეიქრო ძაფები და ნართი.
- კლასი 24* ქსოვილები და საფეიქრო ნაწარმი, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; საწოლისა და მაგიდის გადასაფარებლები.
- კლასი 25* ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავი.
- კლასი 26* მაქმანი და ნაქარგები, თასმა და ლენტები; ღილები, კნოპები, დუგმები და საცეცებიანი ღილ-კილო, ქინძისთავები და ნემსები; ხელოვნური ყვავილები.
- კლასი 27* ნოხები, ჭილოფები, საგებები, ლინოლეუმი და იატაკის სხვა საფარი; კედლის შპალერი და გადასაკრავი მასალა (არასაფეიქრო).
- კლასი 28* თამაშობები, სათამაშოები; ტანვარჯიშისა და სპორტისათვის განკუთვნილი საქონელი, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; ნაძვისხის მორთულობა.
- კლასი 29* კლასი ხორცი, თევზი, ფრინველი და ნანადირევი; ხორცის ექსტრაქტები; დაკონსერვებული, გამხმარი და თბურად დამუშავებული ბოსტნეული და ხილი; ყელე, მურაბა, კომპოტი; კვერცხი, რძე და რძის პროდუქტები; ზეთები და საკვები ცხიმები.
- კლასი 30* ყავა, ჩაი, კაკაო, შაქარი, ბრინჯი, ტაპიოკა (მანიოკა), საგო, ყავის შემცველები; ფქვილი და მარცვლოვანი პროდუქტი, პურ-ფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, ნაყინი; თაფლი, ბადაგის ვაჟინი; საფუარი, საცხობი ფხვნილები; მარილი, მდოგვი; ძმარი, საკაზმები; სანელებლები; საკვები ყინული.
- კლასი 31* სოფლის მეურნეობის, ბაღჩა-ბაღისა და ტყის პროდუქტები და მარცვლეული, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; ცოცხალი ცხოველები; ახალი ხილი და ბოსტნეული; თესლეული, ცოცხალი მცენარეები და ყვავილები; ცხოველთა საკვები; ალაო.
- კლასი 32* ლუდი; მინერალური და გაზიანი წყალი და სხვა უალკოჰოლო სასმელები; ხილის სასმელები და ხილის წვენები; ვაჟინები და სასმელების დასამზადებელი სხვა შედგენილობები.
- კლასი 33* ალკოჰოლიანი სასმელი (ლუდის გარდა).
- კლასი 34* თამბაქო; მწვეველთა საკუთნო; ასანთი.

მომსახურება

- კლასი 35* რეკლამა; მართვა საქმიან სფეროში; ადმინისტრირება საქმიან სფეროში; საოფისე სამსახური.
- კლასი 36* დაზღვევა; ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობა; ფულად-საკრედიტო ოპერაციები; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები.
- კლასი 37* მშენებლობა; რემონტი; დანადგარების დაყენება.
- კლასი 38* კავშირგაბმულობა.
- კლასი 39* ტრანსპორტირება; საქონლის შეფუთვა და შენახვა; მოგზაურობის ორგანიზება.
- კლასი 40* მასალების დამუშავება.
- კლასი 41* აღზრდა; სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა; გართობა; სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება.
- კლასი 42* სამეცნიერო და ტექნოლოგიური მომსახურება და მასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევა და დამუშავება; სამრეწველო ანალიზსა და სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებული მომსახურება; კომპიუტერების ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავება და სრულყოფა.
- კლასი 43* საკვები პროდუქტებითა და სასმელებით უზრუნველყოფა; დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა.
- კლასი 44* კლასი სამედიცინო მომსახურება; ვეტერინარული მომსახურება; მომსახურება ცხოველებისა და ადამიანების ჰიგიენისა და კოსმეტიკის სფეროში; მომსახურება სოფლის მეურნეობის, მებალჩეობისა და მეტყვეობის სფეროში.
- კლასი 45* იურიდიული მომსახურება; საკუთრების ან ინდივიდუალურ პირთა დაცვის სამსახური; ინდივიდუალურ პირთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სხვა პირთა მიერ გაწეული პერსონალური და სოციალური მომსახურება.

ულასების ჩამონათვალი განმარტებით

ს ა ქ ო ნ ე ლ ი

ულასი 1

სამრეწველო და სამეცნიერო დანიშნულების, ფოტოგრაფიაში, მეტყვეობასა და მებაღეობაში გამოსაყენებელი ქიმიური ნაწარმი;
დაუმუშავებელი სინთეზური ფისები, დაუმუშავებელი პლასტმასები;
სასუქები;
ცეცხლმქრობი შედგენილობები;
ქიმიური ნივთიერებები წრთობისა და რჩილვისათვის;
საკვები პროდუქტების დასაკონსერვებელი ქიმიური ნივთიერებები;
სამრეწველო დანიშნულების მწებავი ნივთიერებები.

განმარტება

კლასი 1 მოიცავს, ძირითადად, მრეწველობაში, მეცნიერებასა და სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელ ქიმიურ ნაწარმს იმ ნაწარმის ჩათვლით, რომლისგანაც მზადდება სხვა კლასებში შეტანილი საქონელი (ტექსტში აქაც ნაწარმია).

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- კომპოსტი;
- დასაკონსერვებლად (არა საკვებად) გამოსაყენებელი მარილი.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- დაუმუშავებელი ბუნებრივი ფისები (კლ. 2);
- სამედიცინო დანიშნულების ქიმიური ნაწარმი (კლ. 5);
- ფუნგიციდები, ჰერბიციდები და მავნე მწერების გასანადგურებელი პრეპარატები (კლ. 5);
- საკანცელარიო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მწებავი ნივთიერებები (კლ. 16);
- საკვების დასამზადებელი მარილი (კლ. 30);
- თივის მულჩი (კლ. 31).

ულასი 2

საღებავები, ოლიფა, ლაკები;
ლითონის კოროზიისა და მერქნის დაშლისაგან დამცავი ნივთიერებები;
საღებარი ნივთიერებები;
ამომჭმელები;
დაუმუშავებელი ბუნებრივი ფისები;
სამხატვრო-დეკორატიული დანიშნულებისა და მხატვრული ბეჭდვისათვის განკუთვნილი ფურცლოვანი და ფხვიერი ლითონები.

განმარტება

კლასი 2 მოიცავს, ძირითადად, საღებავებს, საღებარ ნივთიერებებსა და კოროზიისაგან დამცავ პრეპარატებს.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- საღებავები, ოლიფა და ლაკები, რომლებიც გამოიყენება მრეწველობაში, ხელოსნობასა და დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში;
- ტანსაცმლის საღებავები;
- საღებარები საკვებისა და სასმელებისათვის.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- დაუმუშავებელი ხელოვნური ფისები (კლ. 1);
- საღებავები რეცხვისათვის (კლ. 3);
- კოსმეტიკური საღებავები (კლ. 3);
- სახატავი ნაკრებები (სასკოლო საკუთნო) (კლ. 16);
- საიზოლაციო საღებავები და ლაკები (კლ. 17).

ულასი 3

მათერებელი პრეპარატები და სხვა სარეცხი ნივთიერებები;
წმენდის, გაპრიალების, გაუცხიმოვნებისა და აბრაზიული დაუმუშავების პრეპარატები;
საპნები;
პარფიუმერია, ეთერზეთები, კოსმეტიკური საშუალებები, თმის ლოსიონები;
კბილის ფხვნილები და პასტები.

განმარტება

კლასი 3 მოიცავს, ძირითადად, საწმენდ და ტუალეტის პრეპარატებს.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- პირადი მოხმარების დეზოდორანტები;

- ჰიგიენური პრეპარატები, რომლებიც წარმოადგენენ ტუალეტის საკუთნოს.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- საკვამურის გასაწმენდი ქიმიური ნაწარმი (კლ. 1);
- სამრეწველო დანიშნულების ცხიმგამცლელი პრეპარატები (კლ. 1);
- არაპირადი მოხმარების დეზოდორანტები (კლ. 5);
- სალესი ქვები და ქარგოლები (კლ. 8).

ულასი 4

ტექნიკური ზეთები და საპოხები (კონსისტენტური);
საპოხი მასალა;
მტკრის შთამთქმელი, დამსველებელი და შემკვრელი შედგენილობები;
საწვავი (მათ შორის, ძრავას ბენზინი) და გასანათებელი ნივთიერებები;
გასანათებელი პატრუქები და სანთლები.

განმარტება

კლასი 4 მოიცავს, ძირითადად, ტექნიკურ ზეთებსა და საპოხებს, საწვავსა და გასანათებელ ნივთიერებებს.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ზოგიერთი ტექნიკური ზეთი და საპოხი (იხ. საქონლის ანბანური საძიებელი).

ულასი 5

ფარმაცევტული და ვეტერინარული პრეპარატები;
სამედიცინო დანიშნულების ჰიგიენური პრეპარატები;
სამედიცინო დანიშნულების დიეტური ნივთიერებები, ბავშვთა კვება;
სალბუნები, სახვევი მასალა;
კბილის დასაბუნე და კბილის ტვიფრის დასამზადებელი მასალა;
მადეზინფიცირებელი საშუალებები;
მაენე ცხოველების გასანადგურებელი პრეპარატები;
ფუნგიციდები, ჰერბიციდები.

განმარტება

კლასი 5 მოიცავს, ძირითადად, სამედიცინო დანიშნულების ფარმაცევტულ და სხვა პრეპარატებს.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- პირადი ჰიგიენისათვის განკუთვნილი პრეპარატები, არა ტუალეტის საკუთნო;
- არაპირადი მოხმარების დეზოდორანტები;
- სამედიცინო დანიშნულების სიგარეტები თამბაქოს გარეშე.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ჰიგიენური პრეპარატები, რომლებიც წარმოადგენენ ტუალეტის საკუთნოს (კლ. 3);
- პირადი მოხმარების დეზოდორანტები (კლ. 3);
- ორთოპედიული სახვევები სახსრებისათვის (კლ. 10).

ულასი 6

ჩვეულებრივი ლითონები და მათი შენადნობები;
ლითონის სამშენებლო მასალა;
ლითონის მოძრავი კონსტრუქციები და ნაგებობები;
ლითონის მასალა ლიანდაგებისათვის;
ჩვეულებრივი ლითონის გვარლები და მავთული (არაელექტრული);
რკინა-კავეული და საკეტი ნაწარმი;
ლითონის მილები და მილსადენები;
სეიფები;
ჩვეულებრივი ლითონის ნაკეთობა, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს;
მადანი.

განმარტება

კლასი 6 მოიცავს, ძირითადად, დაუშუშავებელ და ნახევრად დაუშუშავებულ ჩვეულებრივ ლითონსა და მათ მარტივ ნაწარმს.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ბოქსიტები (კლ. 1);
- ვერცხლისწყალი, ღარიშხანი, ტუტე- და ტუტემიწა ლითონები (კლ. 1);
- სამხატვრო-დეკორატიული დანიშნულებისა და მხატვრული ბეჭდვისათვის განკუთვნილი ფურცლოვანი და ფხვიერი ლითონები (კლ. 2).

ულასი 7

მანქანები და ჩარხები;
მოტორები და ძრავები (სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილის გარდა);
შეერთებები და გადაცემის ელემენტები (სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილის გარდა);
სასოფლო-სამეურნეო იარაღი, განსხვავებული ხელის იარაღისაგან;
ინკუბატორები.

განმარტება

კლასი 7 მოიცავს, ძირითადად, მანქანებს, ჩარხებს, მოტორებსა და ძრავებს.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- ყველა ტიპის მოტორებისა და ძრავების ნაწილები;
- ელექტრული საწმენდი მანქანები და აპარატები.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ზოგიერთი სპეციალური მანქანა და ჩარხი (იხ. საქონლის ანბანური საძიებელი);
- ხელის იარაღები და ხელსაწყოები (ხელით სამართავი) (კლ. 8);
- სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების მოტორები და ძრავები (კლ. 12).

ულასი 8

ხელის იარაღები და ინსტრუმენტები (ხელით სამართავი);
მჭრელი ნაკეთობა;
ცივი იარაღი;
სამართებლები.

განმარტება

კლასი 8 მოიცავს, ძირითადად, ხელით სამართავ იარაღს, რომელსაც გამოიყენებენ შესაბამის საქმიანობაში.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- ძვირფასი მასალისაგან დამზადებული მჭრელი ნაკეთობა;
- ხელის ელექტრული საპარსი და საკრეჭი ინსტრუმენტები.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- მოტორით ამძრავი ჩარხები და იარაღები (კლ. 7);
- ქირურგიული დანები (კლ. 10);

- ქალაქის საჭრელი დანები (კლ. 16);
- ფარიკაოვის იარაღი (კლ. 28).

ქლასი 9

სამეცნიერო, საზღვაო, გეოდეზიური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, ოპტიკური, ამწონი, გამზომი, სასიგნალო, საკონტროლო (შემოწმების), სამაშველო და სასწავლო ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ელექტრობის გადაცემის, განაწილების, გარდაქმნის, დაგროვების, რეგულირების ან მართვის ხელსაწყოები და ინსტრუმენტები;

ხმის ან გამოსახულების ჩამწერი, გადამცემი და აღმწარმოებელი აპარატურა; ინფორმაციის მაგნიტური მატარებლები, ხმის ჩამწერი დისკები;

სავაჭრო ავტომატები და მექანიზმები აპარატებისათვის წინასწარი გადახდით; სალაროს აპარატები, საანგარიშო მანქანები, ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა და კომპიუტერები;

ცეცხლმქრობები.

განმარტება

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- ხელსაწყოები და ინსტრუმენტები ლაბორატორიული სამეცნიერო კვლევისათვის;
- გემების მართვის ხელსაწყოები და ინსტრუმენტები, ისეთები, როგორცაა გამზომი და ბრძანებების გადამცემი ხელსაწყოები და ინსტრუმენტები;
- შემდეგი ელექტრული ხელსაწყოები და ინსტრუმენტები:
 - (a) ზოგიერთი ელექტროგამახურებელი ხელსაწყოები, როგორცაა ელექტროსარჩილაკები, ელექტროუთოები, რომელთა არაელექტრული მოდელები მიეკუთვნება მე-8 კლასს;
 - (b) ხელსაწყოები და მოწყობილობები, რომელთა არაელექტრული მოდელები ჩამოთვლილია სხვადასხვა კლასებში, ასე, მაგალითად, ტანსაცმელი ელექტროგათბობით, მანქანის სანთებლები;
- ტრანსპორტირები;
- პერფორატორზე მომუშავე საოფისე აღჭურვილობა;
- გასართობი ხელსაწყოები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ტელემიმღებთან ერთად;
- ყველა სახის კომპიუტერული პროგრამა და პროგრამული უზრუნველყოფა დამოუკიდებლად ჩანაწერის მატარებლისა და გავრცელების საშუალების ტიპისა, როგორცაა, მაგნიტურ მატარებელზე ჩაწერილი ან გარე კომპიუტერული ქსელიდან ჩატვირთული პროგრამული უზრუნველყოფა.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- შემდეგი ელექტრული ხელსაწყოები და ინსტრუმენტები:
 - (a) სამზარეულოს ელექტრომექანიკური ხელსაწყოები (ხელის წისქვილები, საკვები პროდუქტის შემრევი (მიქსერი), წვეწარსაწურები, ყავის ელექტრული საფქვაკები და ა.შ.) და ზოგიერთი სხვა ხელსაწყო და ინსტრუმენტი ელექტრული ამძრავით (კლ. 7);

- (b) ელექტროსაპარსები, ელექტრული ხელით საკრეჭი მანქანები, მათ შორის, ფრჩხილების მოსაჭრელი (კლ. 8);
- (c) ელექტრული კბილის ჯაგრისები და ელექტრული სავარცხლები (კლ. 21);
- (d) სათავსებისა და სითხეების გასათბობი, საკვების თბური დამუშავების, ვენტილაციისა და ა.შ. ელექტრული ხელსაწყოები (კლ. 11);
- საათები და ქრონომეტრული ხელსაწყოები (კლ. 14);
- საკონტროლო საათები (კლ. 14).

ულასი 10

ქირურგიული, სამედიცინო, სტომატოლოგიური და ვეტერინარული ხელსაწყოები და ინსტრუმენტები, კიდურების, თვალისა და კბილების პროთეზები; ორთოპედიული ნაწარმი; ნაკერების დასადები მასალა.

განმარტება

კლასი 10 მოიცავს, ძირითადად, სამედიცინო ხელსაწყოებს, ინსტრუმენტებსა და ნაწარმს.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- სპეციალური სამედიცინო დანიშნულების ავეჯი;
- რეზინის ზოგიერთი ჰიგიენური ნაწარმი (იხ. საქონლის ანბანური საძიებელი);
- ორთოპედიული სახვევები სახსრებისათვის.

ულასი 11

განათების, გათბობის, ორთქლწარმოქმნის, საკვები პროდუქტის თბური დამუშავების, გასაცივებელი, საშრობი, ვენტილაციის, წყალგამანაწილებელი და სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობები.

განმარტება

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- ჰაერის კონდიციონირების აპარატები;
- საწოლის სათბურები, მადულარები, ელექტრული და არა ელექტრული სათბურები;
- ბალიშები და საბნები ელექტროგათბობით (არასამედიცინო დანიშნულების);
- ელექტროჩაიდნები;
- საკვების თბურად დამუშავების ელექტრული სამზარეულო საკუთნო.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ორთქლწარმოქმნელი მოწყობილობები (მანქანათა ნაწილები) (კლ. 7);
- ტანსაცმელი ელექტროგათბობით (კლ. 9).

ულასი 12

სატრანსპორტო საშუალებები;
ხმელეთზე, წყალსა და ჰაერში გადასადგილებელი აპარატები.

განმარტება

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- მოტორები და ძრავები სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებისათვის;
- შეერთებები და გადამცემი ელემენტები სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებისათვის;
- სატრანსპორტო საშუალებები საჰაერო ბალიშზე.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- სატრანსპორტო საშუალებების ზოგიერთი ნაწილები (იხ. საქონლის ანბანური საძიებელი);
- ლითონის მასალა ლიანდაგებისათვის (კლ. 6);
- მოტორები, ძრავები, შეერთებები და გადამცემი ელემენტები, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილის გარდა (კლ. 7);
- ყველა ტიპის მოტორებისა და ძრავების ნაწილები (კლ. 7).

ულასი 13

ცეცხლსასროლი იარაღი;
საბრძოლო მასალა და ჭურვები;
ფეთქებადი ნივთიერებები;
ფეიერვერკი.

განმარტება

კლასი 13 მოიცავს, ძირითადად, ცეცხლსასროლ იარაღსა და პიროტექნიკის საშუალებებს.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ასანთი (კლ. 34).

ულასი 14

კეთილშობილი ლითონები და მათი შენადნობები, მათგან დამზადებული ან დაფარული ნაკეთობა, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს;
საიუველირო ნაწარმი, ძვირფასი ქვები;
საათები და სხვა ქრონომეტრული ხელსაწყოები.

განმარტება

კლასი 14 მოიცავს, ძირითადად, ძვირფას ლითონებს, მათგან დამზადებულ ნაწარმს, რომელიც არ არის შეტანილი სხვა კლასებში, და, ზოგადად, საიუველირო ნაწარმს, საათებს.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- საიუველირო ნაწარმი (როგორც ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული, ისე მისი იმიტაცია (ბიჟუტერია));
- მანუეტის საკინძები, ჰალსტუხის სამაგრები.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ძვირფასი ლითონის ნაწარმი, კლასიფიცირებული მათი ფუნქციის ან დანიშნულების მიხედვით, მაგ., სამხატვრო-დეკორატიული დანიშნულებისა და მხატვრული ბეჭდვისათვის განკუთვნილი ფურცლოვანი და ფხვიერი ლითონები (კლ. 2), ოქროს ამაღვამა სტომატოლოგებისათვის (კლ. 5), მჭრელი ნაკეთობა (კლ. 8), ელექტრული კონტაქტები (კლ. 9), ოქროს კალმები (კლ. 16); ჩაის ფერის დასაყენებელი ჩაიდნები (კლ. 21), ნაქარგობა ოქროსა და ვერცხლის მკედით (კლ. 26), სიგარის ყუთები (კლ. 34).
- არაძვირფასი ლითონის ხელოვნების ნიმუშები (კლასიფიცირებულია იმ მასალის მიხედვით, რომლისგანაც დამზადებულია).

ულასი 15

მუსიკალური ინსტრუმენტები.

განმარტება

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- მექანიკური პიანინო და მისი ნაწილები;
- მუსიკალური ზარდახშები;
- ელექტრული და ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტები.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ხმის ჩამწერი, გადამცემი, გამაძლიერებელი და აღმწარმოებელი მოწყობილობები (კლ. 9).

ულასი 16

ქალაქი, მუყაო და მათი ნაწარმი, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს;
ნაბეჭდი პროდუქცია;
მასალა საამკინძაო სამუშაოებისათვის;
ფოტოსურათები;
საწერ-ქალაქის საქონელი;
საკანცელარიო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მწებავი ნივთიერებები;
მხატვართა საკუთნო;
ფუნჯები;
საბეჭდი მანქანები და ოფისის საკუთნო (ავეჯის გარდა);
სასწავლო მასალა და თვალსაჩინოება (აპარატურის გარდა);
პლასტმასის შესაფუთი მასალა (რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს);
შრიფტი;
ტიპოგრაფიული კლიშე.

განმარტება

კლასი 16 მოიცავს, ძირითადად, ქალაქს, მის ნაწარმსა და ოფისის საკუთნოს.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- ქალაქის საჭრელი დანები;
- ასლგადამღები და გასამრავლებელი აპარატები;
- პლასტმასის შესაფუთი ფურცლები, ტომრები, კონვერტები, პარკები და ჩანთები.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ქალაქისა და მუყაოსაგან დამზადებული ზოგიერთი ნაწარმი (იხ. საქონლის ანბანური საძიებელი);
- საღებავები (კლ. 2);
- მხატვართა და მოქანდაკეთა ხელის ინსტრუმენტები (მაგ., ფითხი, შპატელი, მოქანდაკის საჭრეთელი) (კლ. 8).

ულასი 17

კაუჩუკი, რეზინი, გუტაპერჩი, აზბესტი, ქარსი და ამ მასალებისაგან დამზადებული ნაწარმი, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს;
დაყალიბებული პლასტმასის ნაწარმი წარმოებაში გამოსაყენებლად;

დასაგმანი, შესამჭიდროებელი და საიზოლაციო მასალა;
არალითონური მოქნილი მილები.

განმარტება

კლასი 17 მოიცავს, ძირითადად, სამრეწველო დანიშნულების ელექტრობის, სითბოსა და ბგერის საიზოლაციო მასალასა და პლასტმასებს ფურცლების, ფილების, ფირფიტებისა და წნელების სახით.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- რეზინის მასალა სალტებზე ახალი პროტექტორების დასატანად;
- რეზინისა და პლასტმასის დასატენი მასალა;
- გარემოს დაბინძურებისაგან დამცავი მცურავი ბარიერები.

ულასი 18

ტყავი და ტყავის იმიტაცია, მათი ნაწარმი, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს;
ცხოველთა ტყავი;
სამგზავრო სკივრები, ჩემოდნები;
წვიმისა და მზის ქოლგები და ხელჯოხები;
შოლტები, მათრახები, ცხენის აღკაზმულობა და სასარაჯე ნაკეთობა.

განმარტება

კლასი 18 მოიცავს, ძირითადად, ტყავს, ტყავის იმიტაციას, სამოგზაურო საშუალებებს, რომლებიც არ შედის სხვა კლასებში და სასარაჯე ნაკეთობას.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავი (იხ. საქონლის ანბანური საძიებელი).

ულასი 19

არალითონური სამშენებლო მასალა;
სამშენებლო დანიშნულების არალითონური ხისტი მილები;
ასფალტი, ფისები და ბიტუმი;
არალითონური მოძრავი კონსტრუქციები და ნაგებობები;
არალითონური ძეგლები.

განმარტება

კლასი 19 მოიცავს, ძირითადად, არალითონურ სამშენებლო მასალას.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- ნახევრად დამუშავებული მერქანი (მაგ., ძელები, ფიცრები, პანელები);
- ფანერი, ფირფიცარი;
- სამშენებლო მინა (მაგ., გადახურვის ფილები, მინაბლოკი);
- გრანულირებული (დამსხვრეული) მინა გზის მოსანიშნად;
- ქვის, აგურის საფოსტო ყუთები.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ცემენტის დამცავი ან მისთვის წყალშეუღწევობის მიმნიჭებული შედგენილობები (კლ. 1);
- ცეცხლმდეგობის მიმნიჭებული შედგენილობები (კლ. 1).

ულასი 20

ავეჯი, სარკეები, სურათების ჩარჩოები და ა.შ.;

ხის, კორპის, ლელქაშის, ლერწმის, ტირიფის, რქის, ძვლის, სპილოს ძვლის, ვეშაპის უღვაშის, კუს ბანის, ნიჟარის, ქარვის, სადაფის, “ზღვის ხვირთქლისა” და ამ მასალების შემცვლელებისაგან დამზადებული ნაკეთობა, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს.

განმარტება

კლასი 20 მოიცავს, ძირითადად, ავეჯსა და მის ნაწილებს და პლასტმასის ნაწარმს, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- ლითონის ავეჯი და ავეჯი კემპინგებისათვის;
- საწოლის საკუთნო (მაგ., ლეიბები, ზამბარიანი ლეიბები, ბალიშები);
- სარკეები, მათ შორის, ავეჯისა და ტუალეტისათვის განკუთვნილი;
- არალითონური ფირფიტები სარეგისტრაციო ნომრებით;
- საფოსტო ყუთები, ლითონის, აგურის ან ქვისაგან დამზადებულის გარდა.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- სარკის ზოგიერთი ტიპი, რომლებიც კლასიფიცირებულია მათი დანიშნულების მიხედვით (იხ. საქონლის ანბანური საძიებელი);
- სპეციალური ავეჯი ლაბორატორიებისათვის (კლ. 9);
- სპეციალური სამედიცინო დანიშნულების ავეჯი (კლ. 10);
- საწოლის თეთრეული (კლ. 24);
- ბუმბულის საბნები (კლ. 24).

ქლასი 21

საოჯახო და სამზარეულო ჭურჭელი და ჭურჭლეული;
სავარცხლები და ღრუბლები;
ჯაგრისები (ფუნჯების გარდა);
მასალები ჯაგრისის ნაკეთობისათვის;
სამარჯვები წმენდისა და დასუფთავებისათვის;
ლითონის ნეჭა;
დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული მინა (სამშენებლო მინის გარდა);
მინის, ფაიფურისა და ქაშანურის ნაკეთობა, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს.

განმარტება

კლასი 21 მოიცავს, ძირითადად, საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სამზარეულოსათვის განკუთვნილ მცირეგაბარიტიან ხელით სამართავ საკუთნოს, აგრეთვე, ტუალეტის საკუთნოს, მინისა და ფაიფურის ნაწარმს.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სამზარეულოსათვის განკუთვნილი ჭურჭელი და ჭურჭლეული, მაგ., რკინის, ალუმინის, პლასტმასის ან სხვა მასალის სამზარეულოს საკუთნო, ბადიები, ტაფები, ხელით სამართავი მცირეგაბარიტიანი საკეპი, დასაქუცმაცებელი, საწური და სხვა ხელსაწყოები და მოწყობილობები;
- ელექტრული სავარცხლები;
- კბილის ელექტროჯაგრისები;
- თეფშისა და გრაფინის სადგამები (ლანგრები).

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- მინის, ფაიფურისა და თიხისაგან დამზადებული ზოგიერთი საქონელი (იხ. საქონლის ანბანური საძიებელი);
- დასუფთავების საშუალებები, საპონი და ა.შ. (კლ. 3);
- მცირეგაბარიტიანი საკეპი, დასაქუცმაცებელი, საწური და სხვა ხელსაწყოები და მოწყობილობები ელექტროამძრავით (კლ. 7);
- სამართებლები და საპარსი მოწყობილობები, თმის საკრეჭები (ხელის), მანიკურისა და პედიკურის ლითონის საკუთნო და ინსტრუმენტები (კლ. 8);
- საკვების დასამზადებელი ელექტრული მოწყობილობა და ჭურჭელი (კლ. 11);
- ტუალეტის სარკეები (კლ. 20).

ქლასი 22

ბაგირები, ბაწრები, თოკები, ბადეები, კარვები, ჩარდახები, ბრეზენტი, იალქნები და ტომრები, რომლებიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს;
დასატენი მასალა (რეზინისა და პლასტმასის მასალის გარდა);
საფეიქრო ბოჭკოვანი ნედლეული.

განმარტება

კლასი 22 მოიცავს, ძირითადად, თოკებსა და ბაგირებს, აფრის ნაწარმს, სატენ მასალასა და საფეიქრო ბოჭკოვან ნედლეულს.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- ბაგირები, თოკები, ბაწრები, კანაფი, რომლებიც დამზადებულია ხელოვნური საფეიქრო ბოჭკოს, ქალაღდის ან პლასტმასისაგან.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ზოგიერთი სახის ბადეები და სპეციალური ტომრები (იხ. საქონლის ანბანური საძიებელი);
- მუსიკალური ინსტრუმენტების სიმები (კლ. 15).

ულასი 23

საფეიქრო ძაფები და ნართი.

ულასი 24

ქსოვილები და საფეიქრო ნაწარმი, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; საწოლისა და მაგიდის გადასაფარებლები.

განმარტება

კლასი 24 მოიცავს, ძირითადად, საფეიქრო ნაწარმს (ქსოვილებს) და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქსოვილის გადასაფარებლებს.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- ბამბის ქსოვილის თეთრეული.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ზოგიერთი სპეციალური ქსოვილი (იხ. საქონლის ანბანური საძიებელი);
- სამედიცინო დანიშნულების საბანი ელექტროგატობით (კლ. 10);
- არასამედიცინო დანიშნულების საბანი ელექტროგატობით (კლ. 11);
- მაგიდის ქალაღდის თეთრეული (კლ. 16);
- ცხენის ასალები (კლ. 18).

ულასი 25

ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავი.

განმარტება

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება

- სპეციალური დანიშნულების ზოგიერთი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (იხ. საქონლის ანბანური საძიებელი).

ულასი 26

მაქმანი და ნაქარგობა, თასმა და ლენტები;
ლილები, კნოპები, დუგმები და საცეცებიანი ღილ-კილო, ქინძისთავები და ნემსები;
ხელოვნური ყვავილები.

განმარტება

კლასი 26 მოიცავს, ძირითადად, მკერავებისათვის განკუთვნილ საგნებს.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- ელვა-შესაკრავები.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ზოგიერთი სპეციალური კაუჭი (იხ. საქონლის ანბანური საძიებელი);
- ზოგიერთი სპეციალური ნემსი (იხ. საქონლის ანბანური საძიებელი);
- საფეიქრო ძაფები და ნართი (კლ. 23).

ულასი 27

ნოხები, ჭილოფები, საგებები, ლინოლეუმი და იატაკის სხვა საფარი;
კედლის შპალერი და გადასაკრავი მასალა (არასაფეიქრო).

განმარტება

კლასი 27 მოიცავს, ძირითადად, მზა იატაკისა და კედლების საფარსა და გადასაკრავ ნაწარმს.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ხის იატაკი (კლ. 19)

ქალაქი 28

თამაშობები, სათამაშოები;
ტანვარჯიშისა და სასპორტო საქონელი, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს;
ნაძვისხის მორთულობა.

განმარტება

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- სათევზაო საკუთნო;
- სხვადასხვა სასპორტო და სათამაშო აღჭურვილობა.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- საახალწლო ნაძვისხის სანთლები (კლ. 4);
- საყვინთავი აღჭურვილობა (კლ. 9);
- გასართობი მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ტელემიმღებთან ერთად (კლ. 9);
- ნაძვისხის მოსართავი ელექტრული ნათურები (გირლანდები) (კლ. 11);
- სათევზაო ბადეები (კლ. 22);
- ტანსაცმელი სპორტისა და ტანვარჯიშისათვის (კლ. 25);
- საშობაო ნაძვისხის მოსართავი საკონდიტრო ნაწარმი და შოკოლადი (კლ. 30).

ქალაქი 29

ხორცი, თევზი, ფრინველი და ნანადირევი;
ხორცის ექსტრაქტები;
დაკონსერვებული, გამხმარი და თბურად დამუშავებული ბოსტნეული და ხილი; ჟელე, მურაბა, კომპოტი;
კვერცხი, რძე და რძის პროდუქტები;
ზეთები და საკვები ცხიმები.

განმარტება

კლასი 29 მოიცავს, ძირითადად, ცხოველური წარმოშობის საკვებს, აგრეთვე, ბოსტნეულსა და ბალჩეულს, რომელიც განკუთვნილია მოხმარების ან დაკონსერვებისათვის.
ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- რძის სასმელები (რძის უმეტესი შემცველობით).

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ზოგიერთი მცენარეული წარმოშობის საკვები (იხ. საქონლის ანბანური საძიებელი);
- ბავშვთა კვება (კლ. 5);

- დიეტური ნივთიერებები სამედიცინო მიზნებისათვის (კლ. 5);
- სალათის საკაზმები (კლ. 30);
- კვერცხები წიწილების გამოსაჩეკად, დაპეპლილი (კლ. 31);
- საკვები ცხოველებისათვის (კლ. 31);
- ცოცხალი ცხოველები (კლ. 31).

ჯლასი 30

ყავა, ჩაი, კაკაო, შაქარი, ბრინჯი, ტაპიოკა (მანიოკა), საგო, ყავის შემცვლელები; ფქვილი და მარცვლოვანი პროდუქტი, პურ-ფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, ნაყინი; თაფლი, ბადაგის ვაჟინი; საფუარი, საცხობი ფხენილები; მარილი, მდოგვი; ძმარი, საკაზმები; სანელებლები; საკვები ყინული.

განმარტება

კლასი 30 მოიცავს, ძირითადად, მცენარეული წარმოშობის საკვებს, რომელიც განკუთვნილია მოხმარების ან დაკონსერვებისათვის, აგრეთვე, საკვების გემოს გასაუმჯობესებელ დანამატებს.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- ყავაზე, კაკაოსა და შოკოლადზე დამზადებული სასმელები;
- მოხმარებისათვის მომზადებული მარცვლოვანი პროდუქტები (მაგ., შვრიისა და სხვა მარცვლეულის ფანტელები);

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ზოგიერთი მცენარეული საკვები ნაწარმი (იხ. საქონლის ანბანური საძიებელი);
- დასაკონსერვებლად გამოსაყენებელი მარილი, არასაკვები (კლ. 1).
- სამკურნალო ჩაი და დიეტური ნივთიერებები სამედიცინო მიზნებისათვის (კლ. 5);
- ბავშვთა კვება (კლ. 5);
- დაუმუშავებელი მარცვლეული (კლ. 31);
- საკვები ცხოველებისათვის (კლ. 31).

ჯლასი 31

სოფლის მეურნეობის, ბაღჩა-ბაღისა და ტყის პროდუქტები და მარცვლეული, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; ცოცხალი ცხოველები; ახალი ხილი და ბოსტნეული; თესლეული, ცოცხალი მცენარეები და ყვავილები;

ცხოველთა საკვები;
ალაო.

განმარტება

კლასი 31 მოიცავს, ძირითადად, მოხმარებისათვის დაუმუშავებელ მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის პროდუქტებს, ცოცხალ ცხოველებსა და მცენარეებს, აგრეთვე, საკვებს ცხოველებისათვის.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- ნელლი მერქანი;
- დაუმუშავებელი მარცვლეული;
- კვერცხები წიწილების გამოსაჩეკად, დაპეპლილი;
- მოლუსკები და კიბოები.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- მიკროორგანიზმების კულტურები და წურბლები სამედიცინო მიზნებისათვის (კლ. 5);
- ნახევრად დამუშავებული მერქანი (კლ. 19);
- ხელოვნური სათევზაო სატყუარები (კლ. 28);
- ბრინჯი (კლ. 30);
- თამბაქო (კლ. 34).

ულასი 32

ლუდი;
მინერალური და გაზიანი წყალი და სხვა უალკოჰოლო სასმელები;
ხილის სასმელები და ხილის წვენები;
ვაჟინები და სასმელების დასამზადებელი სხვა შედგენილობები.

განმარტება

კლასი 32 მოიცავს, ძირითადად, უალკოჰოლო სასმელებს, აგრეთვე, ლუდს.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- სასმელები ალკოჰოლის დაბალი შემცველობით.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- სამედიცინო დანიშნულების სასმელები (კლ. 5);
- რძის სასმელები რძის უმეტესი შემცველობით (კლ. 29);
- კაკაოზე, ყავასა და შოკოლადზე დამზადებული სასმელები (კლ. 30).

ულასი 33

ალკოჰოლიანი სასმელი (ლუდის გარდა).

განმარტება

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- სამკურნალო სასმელები (მიქსტურები) (კლ. 5);
- სასმელები ალკოჰოლის დაბალი შემცველობით (კლ. 32).

ულასი 34

თამბაქო;
მწვეველთა საკუთნო;
ასანთი.

განმარტება

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- თამბაქოს შემცველები (არასამედიცინო დანიშნულების).

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- სამედიცინო დანიშნულების სიგარეტები თამბაქოს გარეშე (კლ. 5).

მომსახურება

ქალაქი 35

რეკლამა;
მართვა საქმიან სფეროში;
ადმინისტრირება საქმიან სფეროში;
საოფისე სამსახური.

განმარტება

კლასი 35 მოიცავს, ძირითადად, კერძო პირების ან ორგანიზაციების მიერ გაწეულ მომსახურებას, რომლის მთავარი მიზანია:

- (1) დახმარება კომერციული საწარმოს ექსპლუატაციაში ან მართვაში, ან
- (2) დახმარება სამრეწველო ან სავაჭრო საწარმოების საქმისწარმოებასა და კომერციულ საქმიანობაში,

აგრეთვე, სარეკლამო დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურება, რომელიც, ძირითადად, უზრუნველყოფს კავშირს მომხმარებლებთან და ნებისმიერი საინფორმაციო საშუალებით აკეთებს შეტყობინებასა და განცხადებას ყველა შესაძლო საქონლისა და მომსახურების შესახებ.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- სამედიცინო დანიშნულების სიგარეტები თამბაქოს გარეშე (კლ. 5).
- მესამე პირთათვის სხვადასხვა საქონლის თავმოყრა (ტრანსპორტირების გარეშე) და განთავსება მომხმარებლისათვის მოსახერხებლად მათი შესწავლისა და შეძენის მიზნით; ასეთი მომსახურება შეიძლება განხორციელდეს საცალო და საბითუმო ვაჭრობის მაღაზიების, კატალოგებიდან საფოსტო შეკვეთების ან ელექტრონული მედიის მეშვეობით, მაგ., ვებგვერდების ან ტელემაღაზიების საშუალებით;
- ნაწერი შეტყობინებებისა და ჩანაწერების რეგისტრაციის, მიმოწერის, შედგენის, შეგროვების ან სისტემატიზაციის მომსახურება, აგრეთვე, მათემატიკური და სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მომსახურება;
- სარეკლამო სააგენტოების მიერ გაწეული მომსახურება, აგრეთვე, პროსპექტებისა და ნიმუშების გავრცელება უშუალოდ ან ფოსტის მეშვეობით. ამ კლასს შეიძლება მიეკუთვნოს სხვა მომსახურების, მაგალითად, საბანკო სესხების რეკლამა, აგრეთვე, რადიორეკლამა.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- ისეთი საინჟინრო-ტექნიკური შეფასებისა და ანგარიშის შედგენის მომსახურება, რომლებიც არ არის დაკავშირებული სავაჭრო ან სამრეწველო საწარმოების ექსპლუატაციასთან ან საქმიან მართვასთან (იხ. მომსახურების ანბანური საძიებელი).

ხლასი 36

დაზღვევა;
ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობა;
ფულად-საკრედიტო ოპერაციები;
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები.

განმარტება

კლასი 36 მოიცავს, ძირითადად, ფულად-საფინანსო ოპერაციებსა და ყველა სახის სადაზღვევო კონტრაქტებთან დაკავშირებულ მომსახურებას.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- მომსახურება, რომელიც ეხება ფულად-საფინანსო ოპერაციებს, ისეთს, როგორცაა:
 - (a) მომსახურება, გაწეული ყველა საბანკო დაწესებულებების ან მათთან დაკავშირებული ინსტიტუტების მიერ, როგორებიცაა ვალუტის გადამცვლელი ბროკერები და კლირინგის დაწესებულებები;
 - (b) მომსახურება, გაწეული ბანკისაგან განსხვავებული საკრედიტო დაწესებულებების მიერ, როგორებიცაა კოოპერაციული საკრედიტო გაერთიანებები, დამოუკიდებელი ფინანსური კომპანიები, კრედიტორები და ა.შ.;
 - (c) მომსახურება, გაწეული საინვესტიციო და პოლდინგური კომპანიების მიერ;
 - (d) ფასიან ქაღალდებსა და ქონებასთან დაკავშირებული მომსახურება, გაწეული შუამავლების მიერ;
 - (e) ფულად ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურება, გაწეული სანდო პირების მეშვეობით;
 - (f) სამგზავრო ჩეკებისა და აკრედიტივების გაცემისას გაწეული მომსახურება;
- უძრავი ქონების ადმინისტრატორების მიერ გაწეული მომსახურება, ანუ გაქირავებასთან, შეფასებასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული მომსახურება;
- დაზღვევასთან დაკავშირებული მომსახურება, როგორცაა დაზღვევის აგენტებისა და შუამავლების მიერ გაწეული მომსახურება, დაზღვეულთათვის გაწეული მომსახურება და სადაზღვევო პოლისების გაფორმებასთან დაკავშირებული მომსახურება.

ხლასი 37

მშენებლობა;
რემონტი;
დანადგარების დაყენება.

განმარტება

კლასი 37 მოიცავს, ძირითადად, მოიჯარადრისა და სუბ-მოიჯარადრის მიერ გაწეულ კაპიტალური შენობების მშენებლობასა და მომზადებასთან დაკავშირებულ მომსახურებას, აგრეთვე, კერძო პირებისა და ორგანიზაციების მიერ გაწეულ მომსახურებას ობიექტების

ფიზიკური ან ქიმიური მახასიათებლების შეუცვლელად მათი პირვანდელი სახის აღდგენას ან შენახვასთან დაკავშირებით.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- შენობების, გზების, ხიდების, კაშხლებისა და გადამცემი ხაზების მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურება, აგრეთვე, ისეთი სამშენებლო სპეციალიზებული საწარმოების მიერ გაწეული მომსახურება, როგორცაა სამღებრო, წყალგაყვანილობის, გადახურვისა და გათბობის სისტემების დაყენების სამუშაოები;
- მშენებლობასთან დაკავშირებული ისეთი დამხმარე მომსახურება, როგორცაა სამშენებლო ნებლო პროექტების ინსპექტირება;
- მცურავი საშუალებების მშენებლობისას გაწეული მომსახურება;
- სამშენებლო აღჭურვილობის ან მასალების გაქირავებისას გაწეული მომსახურება;
- რემონტთან დაკავშირებული მომსახურება, ანუ ნებისმიერი ობიექტის ცვეთის, დაზიანების, ნაწილობრივი გაფუჭების ან ნგრევის შემდეგ გაწეული აღდგენის მომსახურება (უვარგისობაში მოსული შენობებისა და სხვა ობიექტების პირვანდელი სახით აღდგენა);
- ელექტროგაყვანილობის, ავეჯის, აღჭურვილობის, ინსტრუმენტების, ინვენტარისა და ა.შ. სარემონტო მომსახურება;
- ობიექტების ფიზიკური ან ქიმიური მახასიათებლების შეუცვლელად მათი პირვანდელი სახის შესანარჩუნებლად გაწეული მომსახურება (მოცემულ კლასსა და კლასს 40 შორის განსხვავების დასაზუსტებლად იხილეთ კლასის 40 განმარტებები).

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- საქონლის შენახვის მომსახურება, როგორცაა, ტანსაცმლის ან სატრანსპორტო საშუალებების შენახვა (კლ. 39);
- ქსოვილის ან ტანსაცმლის შეღებვასთან დაკავშირებული მომსახურება (კლ. 40).

ულასი 38

კავშირგაბმულობა.

განმარტება

კლასი 38 მოიცავს, ძირითადად, მომსახურებებს, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ თუნდაც ერთ ადამიანს სენსორული საშუალებების მეშვეობით დაუკავშირდეს სხვა ადამიანს. ასეთი მომსახურება საშუალებას იძლევა:

- (1) ერთი ადამიანი ელაპარაკოს მეორეს;
- (2) გადაიცეს შეტყობინებები ერთი ადამიანიდან მეორეზე;
- (3) მიეცეს საშუალება ერთ ადამიანს ზეპირი ან ვიზუალური საშუალებით (რადიო და ტელევიზია) დაუკავშირდეს მეორეს.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- მომსახურება, რომელიც, არსობრივად, მდგომარეობს რადიო- ან სატელევიზიო პროგრამების გადაცემაში.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- რადიორეკლამის მომსახურება (კლ. 35).

ქალაქი 39

ტრანსპორტირება;
საქონლის შეფუთვა და შენახვა;
მოგზაურობის ორგანიზება.

განმარტება

კლასი 39 მოიცავს, ძირითადად, ადამიანების ან საქონლის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის ან გადაზიდვის მომსახურებას (სარკინიგზო, საავტომობილო, წყლის, საჰაერო ტრანსპორტით ან მილსადენით) და ასეთ გადაზიდვებთან დაკავშირებულ მომსახურებებს, აგრეთვე, ტვირთების დაზიანების ან გატაცებისაგან დაცვის მიზნით საწყობებსა და სხვა ადგილებში მათი შენახვისათვის გაწეულ მომსახურებას.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- სადგურების, ხიდების, სარკინიგზო პლატფორმებისა და მსგავსი სატრანსპორტო საშუალებების მფლობელი კომპანიების მიერ გაწეული მომსახურება;
- სატრანსპორტო საშუალებების გაქირავების მომსახურება;
- მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია გემების ბუქსირებასა და გადმოტვირთვასთან, პორტების, მისადგომების მუშაობასთან, საფრთხეში მყოფი გემებისა და მათი ტვირთების გადარჩენასთან;
- აეროპორტების მუშაობასთან დაკავშირებული მომსახურება;
- გაგზავნამდე საქონლის შეფუთვის მომსახურება;
- შუამავლების ან ტურისტული სააგენტოების მიერ გაწეული მომსახურება, რაც მოიცავს ინფორმაციას მოგზაურობაზე, მგზავრობასა და საქონლის გადაზიდვებზე, აგრეთვე, სატარიფო განაკვეთებზე, განრიგებსა და გადაზიდვის მეთოდებზე;
- ტრანსპორტირების წინ ტრანსპორტის ან საქონლის შემოწმებასთან დაკავშირებული მომსახურება.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- სატრანსპორტო საშუალებებით განხორციელებულ რეკლამასთან დაკავშირებული მომსახურება, როგორცაა პროსპექტების გავრცელება და რადიორეკლამა (კლ. 35);
- შუამავლების ან სამოგზაურო სააგენტოების მიერ გაწეული მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია სამგზავრო ჩეკების ან აკრედიტივების გაცემასთან (კლ. 36);
- ადამიანების ან საქონლის ტრანსპორტირებისას დაზღვევასთან (კომერციულ, ხანძრისგან ან სიცოცხლის) დაკავშირებული მომსახურება (კლ. 36);

- სატრანსპორტო საშუალებების, აგრეთვე, ადამიანების ან საქონლის გადაზიდვასთან დაკავშირებული ობიექტების ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტთან დაკავშირებული მომსახურებები (კლ. 37);
- სასტუმროებში ადგილების დაჯავშნის მიზნით სამოგზაურო სააგენტოების ან შუამავლების მიერ გაწეული მომსახურება (კლ. 43).

ქალასი 40

მასალების დამუშავება

განმარტება

კლასი 40 მოიცავს, ძირითადად, მომსახურებებს, რომლებიც არ განეკუთვნება სხვა კლასებს და მდგომარეობს საგნების ან ორგანული, ან არაორგანული ნივთიერებების მექანიკურ ან ქიმიურ დამუშავებაში ან გარდაქმნაში.

კლასიფიკაციის მიზნით უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომსახურებად ითვლება სხვადასხვა საგნების დამუშავებას ან გარდაქმნასთან დაკავშირებული ისეთი სახის ქმედება, რომელიც გულისხმობს სხვა პირთა მომსახურებას. იმავე მიზნით მომსახურებად უნდა ჩაითვალოს მასალის ისეთი დამუშავება ან გარდაქმნა, რომლის შედეგად საგანი ან ნივთიერება იქნეს ახალ კომერციულ ღირებულებას.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- საგნების ან ნივთიერებების გარდაქმნის მომსახურება, რომელიც იწვევს მათი არსებითი მახასიათებლის შეცვლას (მაგ., ტანსაცმლის ღებვა); ტექნიკური მომსახურება, მიუხედავად იმისა, რომ ის, ჩვეულებრივ, განეკუთვნება 37-ე კლასს, კლასიფიცირდება მე-40 კლასში, თუ იგი იწვევს გარე შესახედაობის ცვლილებას (მაგ., ავტომობილის ბამპერის მოჭრობა);
- რაიმე ნივთიერების მიღებისას ან საგნის (სამშენებლო ობიექტების გარდა) დამზადებისას გაწეული დამუშავების მომსახურება, მაგალითად, მომსახურება, რომელიც უკავშირდება ჭრას, ფორმირებას, აბრაზიული მასალით დამუშავებას ან ლითონით დაფარვას.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- სარემონტო მომსახურება (კლ. 37).

ქალასი 41

აღზრდა;

სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა;

გართობა;

სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება.

განმარტება

კლასი 41 მოიცავს, ძირითადად, ცალკეულ პირთა ან ორგანიზაციების მიერ გაწეულ მომსახურებას, რომლის მიზანია ადამიანების გონებრივი მონაცემების განვითარება ან ცხოველების გაწვრთნა, აგრეთვე, ადამიანების გართობისა და დასვენების ორგანიზებასთან დაკავშირებული მომსახურება.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- ადამიანების სწავლებისა და აღზრდის ყველა სახესა და ფორმასთან და ცხოველების გაწვრთნასთან დაკავშირებული მომსახურებები;
- მომსახურებები, რომელთა მთავარი მიზანია ადამიანების გართობისა და დასვენების ორგანიზება.

ულასი 42

სამეცნიერო და ტექნოლოგიური მომსახურება და მასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევა და დამუშავება;

სამრეწველო ანალიზსა და სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებული მომსახურება;

კომპიუტერების ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავება და სრულყოფა.

განმარტება

კლასი 42 მოიცავს, ძირითადად, ფიზიკური პირების მიერ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად გაწეულ მომსახურებას მოლვაწეობის რთულ სფეროებთან დაკავშირებით; ასეთ მომსახურებას ეწევიან სპეციალისტები ფიზიკის, ქიმიის, ტექნიკის, კომპიუტერული პროგრამირების და ა.შ. დარგებში.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- ინჟინერთა მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებას, გამოკვლევასა და ანგარიშების შედგენას სამეცნიერო-კვლევით და ტექნიკურ დარგებში;
- სამეცნიერო-კვლევითი მომსახურება სამედიცინო მიზნით.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- გამოკვლევა და შეფასება კომერციული ოპერაციების სფეროში (კლ. 35);
- ტექსტის დამუშავებისა და მონაცემთა ავტომატიზებული ბაზის მართვის მომსახურება (კლ. 35);
- ფინანსური და საგადასახადო შეფასებები (კლ. 36);
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება (კლ. 37);
- კომპიუტერების დაყენების, ექსპლუატაციისა და რემონტის მომსახურება (კლ. 37);
- პროფესიონალების, როგორცაა ექიმები, ვეტერინარები, ფსიქოანალიტიკოსები, მიერ გაწეული მომსახურება (კლ. 44);
- სამედიცინო მომსახურება (კლ. 44);
- ბალის დიზაინი (კლ. 44);
- იურიდიული მომსახურება (კლ. 45).

ქლასი 43

საკვები პროდუქტებითა და სასმელებით უზრუნველყოფა;
ღროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა.

განმარტება

კლასი 43 მოიცავს, ძირითადად, ფიზიკური პირების ან დაწესებულებების მიერ გაწეულ მომსახურებებს, რომელთა მიზანია მომხმარებლისათვის საკვები პროდუქტისა და სასმელების მომზადება და ადგილებისა და კვების შეთავაზება სასტუმროებში, პანსიონატებსა და სხვა ღროებითი საცხოვრებელი ფართის მქონე დაწესებულებებში.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- მოგზაურთათვის საცხოვრებელი ადგილების დაჯავშნის მომსახურება, განხორციელებული, ძირითადად, ტურისტული სააგენტოებისა და აგენტების მეშვეობით;
- პანსიონები ცხოველებისათვის.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მომსახურებები, ისეთი, როგორცაა სახლების, ბინებისა და ა.შ. გაცემა იჯარით მუდმივ საცხოვრებლად (კლ. 36);
- ტურისტული სააგენტოების მიერ მოგზაურობის მოწყობა (კლ. 39);
- საკვები პროდუქტისა და სასმელების დაკონსერვებასთან დაკავშირებული მომსახურება (კლ. 40);
- დისკოთეკების მომსახურება (კლ. 41);
- სკოლა-ინტერნატები (კლ. 41);
- დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები (კლ. 44).

ქლასი 44

სამედიცინო მომსახურება;
ვეტერინარული მომსახურება;
მომსახურება ცხოველებისა და ადამიანების ჰიგიენისა და კოსმეტიკის სფეროში;
მომსახურება სოფლის მეურნეობის, მებაღეობა-მებაღეობისა და მეტყვევობის სფეროში.

განმარტება

კლასი 44 მოიცავს, ძირითადად, ფიზიკური პირებისა და დაწესებულებების მიერ ადამიანებისა და ცხოველებისათვის სამედიცინო დახმარებას, ჰიგიენურ და კოსმეტიკურ მომსახურებას;

იგი, აგრეთვე, მოიცავს სოფლის მეურნეობასთან, მებაღეობა-მებაღეობასა და მეტყვევობასთან დაკავშირებულ მომსახურებებს.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- ადამიანების მკურნალობასთან დაკავშირებული სამედიცინო ანალიზის მომსახურება (როგორცაა რენტგენული გამოკვლევა და სისხლის ანალიზი);
- ხელოვნური განაყოფიერების მომსახურება;
- ფარმაცევტის კონსულტაციები;
- ცხოველების გამრავლება;
- მცენარეების გაზრდასთან დაკავშირებული მომსახურება, როგორცაა მებაღეობა;
- ფლორისტების ხელოვნება, როგორცაა ყვავილების კომპოზიციების შექმნა, აგრეთვე, ბალის დიზაინი.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- მავნებლების განადგურება (სოფლის მეურნეობის, მებაღეობა-მებაღეობისა და მეტყევეობის გარდა) (კლ. 37);
- სარწყავი სისტემების დაყენებასა და რემონტთან დაკავშირებული მომსახურებები (კლ. 37);
- სასწრაფო დახმარების ტრანსპორტით მომსახურება (კლ. 39);
- საქონლის დაკვლა და ფიტულების დამზადება (კლ. 40);
- ხე-ტყის მოჭრა და დამუშავება (კლ. 40);
- ცხოველების გაწვრთნა (კლ. 41);
- ჯანმრთელობის კლუბები ფიზიკური ვარჯიშისათვის (კლ. 41);
- სამეცნიერო კვლევები სამედიცინო მიზნებისათვის (კლ. 42);
- პანსიონები ცხოველებისათვის (კლ. 43);
- მოხუცთა თავშესაფრები (კლ. 43).

ულასი 45

იურიდიული მომსახურება; საკუთრების ან ინდივიდუალურ პირთა დაცვის სამსახური; ინდივიდუალურ პირთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სხვა პირთა მიერ გაწეული პერსონალური და სოციალური მომსახურება.

განმარტება

კლასი 45 მოიცავს, ძირითადად, პერსონალურ და სოციალურ მომსახურებებს, რომელსაც ახორციელებენ სხვა პირები ინდივიდუალურ პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ამ კლასს, კერძოდ, მიეკუთვნება:

- იურისტების მიერ ინდივიდუალური პირების, ინდივიდუალურ პირთა ჯგუფების, ორგანიზაციებისა და საწარმოებისთვის გაწეული მომსახურება;
- ფიზიკური და იურიდიული პირების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოძიებისა და მეთვალყურეობის მომსახურება;
- ინდივიდუალურ პირთათვის საზოგადოებრივ ღონისძიებებთან დაკავშირებით გაწეული მომსახურება, როგორცაა თანხლების მომსახურება, საქორწინო სააგენტოები,

დაკრძალვის ორგანიზება და ჩატარება.

ამ კლასს, კერძოდ, არ მიეკუთვნება:

- კომერციული დაწესებულებებისათვის უშუალო დახმარების მიზნით გაწეული პროფესიული მომსახურება მათ მიერ ოპერაციების ჩატარებისას ან მისი ფუნქციონირებისას (კლ. 35);
- ფინანსურ ან ფულად საქმეებთან დაკავშირებული მომსახურება და დაზღვევისმომსახურება (კლ. 36);
- მოგზაურთა თანხლება (კლ. 39);
- გადაზიდვები დაცული ტრანსპორტით (კლ. 39);
- პიროვნების განათლებასთან დაკავშირებული ყველა სახის მომსახურება (კლ.41);
- მოძღვრებისა და მოცეკვავეების გამოსვლები (კლ. 41);
- კომპიუტერული უზრუნველყოფის დაცვის მიზნით გაწეული კომპიუტერული მომსახურება (კლ. 42);
- სხვა პირთა მიერ ადამიანებისა და ცხოველებისათვის გაწეული მომსახურება სამედიცინო დახმარების, ჰიგიენისა და კოსმეტიკის სფეროებში (კლ. 44);
- გაქირავების მომსახურების ზოგიერთი სახე (იხ. მომსახურების ანბანური საძიებელი და მომსახურებასთან დაკავშირებული ზოგადი შენიშვნების (b) პუნქტი).

* * *

*საქონლის ანგენური
ჩამონათვალი*

საქონლის ანბანური ჩამონათვალი

5

ჯლასი	№ სერიული (ქართული)	საქონლის დასახელება	№ ძირითადი	№ სერიული (ივსლისური)
01	ა 00001	აალების პრეპარატები [ქიმიური დანამატები ძრავას საწვავისათვის]	010001	C0737
11	ა 00002	აბაზანები	110033	B0181
11	ა 00003	აბაზანები (დასაჯდომი -)	110035	B0182
11	ა 00004	აბაზანები (მინერალური წყლის -) [რეზერვუარები]	110291	B0195
05	ა 00005	აბაზანები (ჟანგბადის -)	050043	B0193
21	ა 00006	აბაზანები (საბავშვო გადასატანი -)	210301	B0187
06	ა 00007	აბაზანები (ფრინველების -) [ლითონის კონსტრუქციები]	060280	B0188
19	ა 00008	აბაზანები ფრინველებისათვის [არალითონური კონსტრუქციები]	190194	B0409
05	ა 00009	აბაზანების მარილები (მინერალური წყლის -)	050042	B0194
05	ა 00010	აბაზანების მარილები (სამკურნალო -)	050302	B0176
05	ა 00011	აბაზანების პრეპარატები (სამკურნალო -)	050041	B0174
			050045	B0180
11	ა 00012	აბაზანის გამხურებლები	110038	B0192
24	ა 00013	აბაზანის თეთრეული, ტანსაცმლის გარდა	240005	B0170
03	ა 00014	აბაზანის კოსმეტიკური პრეპარატები	030016	B0189
03	ა 00015	აბაზანის მარილი, სამედიცინო დანიშნულების გარდა	030175	B0177
11	ა 00016	აბაზანის პირნაკეთობა	110034	B0171
25	ა 00017	აბაზანის ხალათები	250127	B0175
11	ა 00018	აბანოს საკუთნო (ცხელი ჰაერის -)	110017	B0167
11	ა 00019	აბაჟურები	110237	L0040
11	ა 00020	აბაჟურის დამჭერები	110238	L0050
05	ა 00021	აბები ფარმაცევტული მიზნებისათვის	050235	P0367
10	ა 00022	აბების შემყვანი მოწყობილობები	100127	B0068
13	ა 00023	აბედი [პატრუქები]	130004	T0263
26	ა 00024	აბზინდები [სამოსის საკუთნო]	260097	B0736
01	ა 00025	აბრაზივებთან გამოსაყენებელი დამხმარე სითხეები	010004	A0011
03	ა 00026	აბრაზივები*	030165	A0010
08	ა 00027	აბრაზიული დამუშავების საშუალებები [ხელის ინსტრუმენტები]	080002	A0005
05	ა 00028	აბრაზიული მასალები (სტომატოლოგიური -)	050001	A0012
03	ა 00029	აბრაზიული ტილო	030160	S0075
				A0006
03	ა 00030	აბრაზიული ქაღალდი	030166	A0008
21	ა 00031	აბრაზიული ღრუბლები (ტყავის საფხევი -)	210331	A0009
20	ა 00032	აბრები ხის ან პლასტიკატისაგან	200253	S0433
21	ა 00033	აბრები, ფირნიშები (ფაფურის ან მიწის -)	210279	S0432
24	ა 00034	აბრეშუმი [ქსოვილი]	240088	S0447
22	ა 00035	აბრეშუმის ანამენძი	220040	S0449
23	ა 00036	აბრეშუმის ნართი	230016	S0789
22	ა 00037	აბრეშუმის ნარჩენები [დასატენი მასალა]	220016	S0452

ჯლასი	№ სერიული (ქართული)	საქონლის დასახელება	№ ძირითადი	№ სერიული (ინგლისური)
24	ა 00038	აბრეშუმის ქსოვილი ტიპოგრაფიული შაბლონებისათვის	240060	S0448
23	ა 00039	აბრეშუმის ძაფი	230007	S0451
31	ა 00040	აბრეშუმის ჭია	310119	S0455
29	ა 00041	აბრეშუმის ჭიის ჭუპრები, საკვები	290151	S0453
05	ა 00042	აბუსალათინის ზეთი სამედიცინო მიზნებისათვის	050344	C0234
04	ა 00043	აბუსალათინის ზეთი ტექნიკური მიზნებისათვის	040089	C0235
14	ა 00044	აგათები	140001	A0119
01	ა 00045	აგარ-აგარი	010029	A0118
01	ა 00046	აგლუტინაციის ნივთიერებები (ბეტონის -)	010030	A0121
02	ა 00047	აგლუტინაციის პრეპარატები (საღებავების -)	020087	A0122
19	ა 00048	აგური	190038	B0690
19	ა 00049	აგურის თიხა	190039	B0691
01	ა 00050	აგურის წყობის დამცავები, საღებავებისა და ზეთების გარდა	010381	B0692
07	ა 00051	ადიდვის დგანები	070183	M0236
01	ა 00052	ადუღების საწინააღმდეგო პრეპარატები (ძრავას საზეთ-მაცივებელი ემულსიის -)	010645	A0329
07	ა 00053	აერატორები	070432	A0104 G0074
07	ა 00054	აერირების ტუმბოები (აკვარიუმის -)	070005	A0103
03	ა 00055	აეროზოლები (სუნთქვის გამახალისებელი -)	030204	S0771
01	ა 00056	აეროზოლებში გამოსაყენებელი გადამტანი აირები	010026	A0116
21	ა 00057	აეროზოლის დოზატორები, არასამედიცინო	210233	A0115
10	ა 00058	აეროზოლის ხელსაწყოები, სამედიცინო	100160	A0114
09	ა 00059	აერომეტრები	090020	A0108
12	ა 00060	აერონავტიკის აპარატები, მანქანები და მოწყობილობები	120203	A0109
12	ა 00061	აეროსტატები	120006	A0132 B0071
24	ა 00062	აეროსტატების აირგაუმტარი ქსოვილი	240002	A0110 B0073
09	ა 00063	ავარიისაგან დამცავი ბადეები	090259	N0059
07	ა 00064	ავარიული სიმძლავრის გენერატორები	070492	E0114
14	ა 00065	ავგაროზები	140006	A0272
20	ა 00066	ავეჯი	200041	F0562
20	ა 00067	ავეჯი (საოფისე -)	200037	F0576
20	ა 00068	ავეჯი (სასკოლო -)	200094	F0579
18	ა 00069	ავეჯი ტყავის ს გასაწყობები	180041	F0573
20	ა 00070	ავეჯის ბორბლები, გორგოლაჭები, არალითონური	200149	F0563
24	ა 00071	ავეჯის გადასაკრავი ქსოვილები	240004	U0029
21	ა 00072	ავეჯის გადასაწმენდი ჩვრები	210125	F0568

საქონლის ანბანური ჩამონათვალი

5

კლასი	№ სერიული (ქართული)	საქონლის დასახელება	№ ძირითადი	№ სერიული (ინგლისური)
20	ა 00073	ავეჯის თაროები	200172	F0580
06	ა 00074	ავეჯის ლითონის გორგოლაკები, ბორბლები	060187	F0564
06	ა 00075	ავეჯის ლითონის ფურნიტურა	060380	F0572
24	ა 00076	ავეჯის პლასტმასის საფარი	240075	F0566
18	ა 00077	ავეჯის ტყავის გადასაკრავები	180116	F0565
20	ა 00078	ავეჯის ფურნიტურა, არალითონური	200113	F0571
24	ა 00079	ავეჯის ქსოვილის გადასაკრავები	240117	F0567
24	ა 00080	ავეჯის შალითები	240059	F0574
20	ა 00081	ავეჯის ხის ტიხრები	200148	F0577
				F0578
03	ა 00082	ავეჯისა და იატაკის გასაპრიალებელი საშუალებები	030047	P0541
22	ა 00083	ავეჯისა და ლეიბების დასატენი და გადასაკრავი ზამბა	220061	W0003
12	ა 00084	ავტობუსები	120018	B0789
				C0614
			120019	M0419
16	ა 00085	ავტოკალმები	160225	F0452
21	ა 00086	ავტოკლავი [საკვების წნევის ქვეშ დასამუშავებელი მოწყობილობა], არაელექტრული	210236	A0491
11	ა 00087	ავტოკლავი [წნევის ქვეშ დამუშავების სწრაფსახარში ქვაბები], ელექტრული	110254	A0490
07	ა 00088	ავტომატური მანიპულატორები [მანქანები]	070421	H0076
16	ა 00089	ავტომატური ფანქრები	160114	P0220
12	ა 00090	ავტომისაბმელები	120056	C0116
12	ა 00091	ავტომობილები	120205	A0502
			120199	C0174
				M0420
12	ა 00092	ავტომობილები მოტოციკლის ძრავით	120099	C1125
12	ა 00093	ავტომობილი-რეფრიჟერატორები	120128	R0145
				V0098
11	ა 00094	ავტომობილის მაშუქები	110256	A0500
12	ა 00095	ავტომობილის მზისგან დამცავი საშუალებები	120245	A0504
11	ა 00096	ავტომობილის მძღოლის დაბრმავების საწინააღმდეგო მოწყობილობები [განათების მოწყობილობა]	110030	A0503
27	ა 00097	ავტომობილის ნოხები	270010	A0496
09	ა 00098	ავტომობილის სალტეში დაბალი წნევის ავტომატური მაჩვენებლები	090069	T0276
				T0566
12	ა 00099	ავტომობილის შასი	120025	A0498
12	ა 00100	ავტომობილის ძარები	120207	A0494
01	ა 00101	ავტომობილის ძარის მასტიკა	010649	A0495
				C0112
12	ა 00102	ავტომობილის ჯაჭვები	120024	A0497

ჯლასი	№ სერიული (ქართული)	საქონლის დასახელება	№ ძირითადი	№ სერიული (ინგლისური)
25	ა 00103	ავტომობილისტის ტანსაცმელი	250002	M0430
09	ა 00104	ავტომობილსუბეები	090629	A0324
12	ა 00105	ავტოსატვირთველები	120001	F0439 L0186
18	ა 00106	ავშარები [ულაგმო აღვირი]	180059	H0134 H0043
17	ა 00107	აზბესტი	170091	A0445
19	ა 00108	აზბესტიანი სამშენებლო ხსნარები	190005	A0455
17	ა 00109	აზბესტის ბოჭკო	170088	A0452
17	ა 00110	აზბესტის დამცავი ფარდები	170003	A0459
09	ა 00111	აზბესტის ეკრანები (მეხანძრის დამცავი -)	090689	A0460
17	ა 00112	აზბესტის მუყაო	170087	A0454
17	ა 00113	აზბესტის სატენები	170081	A0456
17	ა 00114	აზბესტის საფარები	170078	A0449
02	ა 00115	აზბესტის საღებავები	020009	A0457
17	ა 00116	აზბესტის ტილო	170080	A0447
17	ა 00117	აზბესტის ფურცლები	170035	A0461
17	ა 00118	აზბესტის ფუბეები	170027	A0463
17	ა 00119	აზბესტის ქალაღდი	170071	A0458
17	ა 00120	აზბესტის ქეჩა	170044	A0451
17	ა 00121	აზბესტის ქსოვილები	170079	A0450
09	ა 00122	აზბესტის ქსოვილის ტანსაცმელი ხანძრისაგან დასაცავად	090035	A0448
09	ა 00123	აზბესტის ქსოვილის ხელთათმანები ხანძრისაგან დასაცავად	090034	A0453
17	ა 00124	აზბესტის შიფერი	170005	A0462
19	ა 00125	აზბესტცემენტი	190004	A0446
01	ა 00126	აზოტი	010092	N0090
01	ა 00127	აზოტის მონოქსიდი	010093	N0087
01	ა 00128	აზოტის ოქსიდი	010093	N0093
01	ა 00129	აზოტმჟავა	010095	N0086
05	ა 00130	აზოტმჟავა ბისმუტის ფუბემარული ფარმაცევტული მიზნებისათვის	050263	B0423
01	ა 00131	აზოტმჟავა ვერცხლი	010569	S0463
01	ა 00132	აზოტოვანი სასუქი	010094	N0091
01	ა 00133	აზოტოვანი სასუქი (კალციუმის შემცველი -)	010141	N0092
29	ა 00134	ათქვეფილი ნაღები	290141	W0225
30	ა 00135	ათქვეფილი ნაღების სტაბილიზატორები	300045	W0226
11	ა 00136	აირგანმუხტვის ელექტრული მილაკები განათებისათვის	110111	D0156
09	ა 00137	აირგანმუხტვის ელექტრული მილაკები, განათებისას გამოსაყენებლის გარდა	090559	D0157
11	ა 00138	აირგენერატორები [დანადგარები]	110295	G0057 G0106
01	ა 00139	აირები (მყარი -), სამრეწველო დანიშნულების	010328	G0073

საქონლის ანბანური ჩამონათვალი

5

